# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 ნოემბერი 2005 №273 (2596) ფასი 50 თეთრი

# ტოპვარიანტი

## ტოპმიოლერი ასტრონომიული არ არის



საყურადღებო ამბავი გერმანიიდან: კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო ფიფას ერთ-ერთ ქართველ აგენტთან. მოლაპარაკება კი უკვე იმ სტადიაშია, რომ სახელოვანი გერმანელი მწვრთნელი პირობების დასაზუსტებლად შესაძლოა მალე თბილისში ჩამოვიდეს. უდიდესი გამოცდილების მქონე ტოპმიოლერმა საქართველოდან ნაკრების მწვრთნელობაზე ოფიციალური წინადადება გუშინწინ მიიღო და კონკრეტული მოლაპარაკებაც დაიწყო — აი, ასეთი ამბავი გვითხრეს გუშინ გერმანელმა კოლეგებმა, ჩვენ კი ამ ცნობის გადასამოწმებლად დაგვიკავშირდნენ.

სიტყვიერად უკვე შეთანხმებულია იმ ანაზღაურების ოდენობაც, რასაც საბოლოო თანხმობის შემთხვევაში ტოპმიოლერი მიიღებს, თუმც კი ჩვენთვის თანხის ზუსტი რაოდენობა უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს ციფრი მაინცდამაინც ასტრონომიული არ არის, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტია, რასაც თავის დროზე ალენ ჟირესი და ჩვენთან ჩამოსული სხვა უცხოელი მწვრთნელები ილებდნენ. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ალბათ სხვა საინტერესო ამბებიც იქნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიიდან გუშინ დაბრუნდა და...

# შემოდგომაზე დათვლილი წიწილები




ვიტ ჯორჯია — ბათუმი 0:0. ჩემპიონატის ლიდერმა ვიტელებმა პირველი წრის ბოლო ტურში წაიფორხილეს

ფააფუ პირველი წრეც... საქართველოს ჩემპიონატი დღეს ეკვატორს შემოხაზავს და თებერვლამდე დაგვემშვიდობება. მერე კი, იცოცხლეთ, გუნდების უმეტესობა ისეთი სახეშეცვლილი იქნება, ველარ იცნობთ — ყოველი სეზონის შესვენებისას ქართული მიდი-მოდი იწყება, ფულიანი გაძლიერდება, უფულო დასუსტდება და ამიტომაც ჯერ ვერ ვბედავთ აშკარა ფავორიტებზე ლაპარაკს. ცხრილიც ისეთი ჩახლართულია, ერთი მოგებით სამი საფეხურით ანაცვლება შეიძლება... აი, მაგალითად, „ლოკომოტივი": დღეს თუ მოიგო, უცებ მესამეზე წამოსკუპდება, ერთ-ერთი ღრმა აუტსაიდერი „სპარტაკი" კი თავისას ეცდება, ეგებ, ბოლოსწინა ადგილი მაინც გაიმაგროს.

გუშინ და გუშინწინ კი ბოლო საპირველწრეო ტურის შვიდი თამაში იყო და მთავარი სენსაციაც გამოცხვა: ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ" შინ „ბათუმს" ვერ მოუგო, თუმცა ან ის ეგონა ვინმეს, „თბილისის" ყმაწვილგუნდი ამბიციურ „ამერს" რომ დასცანცლიდა ქულებს?..

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე 15 ტური

# რაც საფულეში, ის საქულეში



ვლადიმერ დვალიშვილის (შუაში) საგოლე თავური



მიხეილ ბობოხიძემ ერთი და კარგი გაიტანა

თბილისი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ეროვნული. 600 (ტევადობა 70 900)

## დინამო 4:0 სოხუმი

1:0 მეგრელაძე (26), 2:0 დვალიშვილი (48), 3:0 მეგრელაძე (77), 4:0 ბობოხიძე (85)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, გიგაური, ორბელაძე, ამისულაშვილი, ალადაშვილი (გ. ჭელიძე 79), ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე (გ. მერებაშვილი 84), კ. მახარაძე, ბობოხიძე, მეგრელაძე, დვალიშვილი (ჩირიკაშვილი 74)
*სათადარიგონი:* სტურუა; გ. თომაშვილი, სახვაძე, ფირცხალავა
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**სოხუმი:** სეფიაშვილი, თ. უგრეხელიძე, მაჩალაძე, ჭყოიძე, ლ. ჩხაიძე, მოლოდინი, ხაჩიძე (ფარჯიანი 46), ი. ჭანტურია (ეგაძე 79), სილაგაძე, ჩომახიძე, მამფორია (შამუგია 63)
*სათადარიგონი:* ქაშიბაძე, რუსია, ჟვანია, გადელია
**მწვრთნელი:** გოჩა ჟორჟოლიანი

**გაფრთხილება:** სილაგაძე (3), უგრეხელიძე (39)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** დ. ბოკერია

**კახა შალამბერიძე**

**ისე** მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო — თბილისის „დინამომ" ათი თავით აჯობა „სოხუმს" და დამსახურებულადაც მოიგო. კახა ცხადაძის უკვე ტრადიციულმა შემტევმა ტაქტიკამ (3-4-3) პირველივე წუთებიდან გამოაჩინა, რომ „ეროვნულზე" სტუმრებს იოტისოდენა შანსიც კი არ ჰქონდათ, ან როგორ ექნებოდათ, როცა კახა ალადაშვილის, გიორგი მეგრელაძისა თუ მიხეილ ბობოხიძის გამჩერებელი არავინ ჰყავდათ...

პირველ ტაიმში დინამოელებს კლანჭები მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ — ორად ორჯერ დაემუქრნენ „სოხუმს" ძალიან სახიფათოდ და აქედან ერთხელ გაიტანეს. ჯერ იყო და, ბობოხიძის პასი მეგრელაძემ ვერ შეიშნო, ორიოდ მეტრიდან კარს გადააცილა, თუმც ოც წუთში შეცდომა გამოასწორა და ამჯერად კახა მახარაძის გადაცემით იხეირა — 1:0.

მასპინძელთა ჯირითი შესვენების შემდეგ იყო თუ იყო. გატანილ სამ ბურთზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ბობოხიძეს, სულ მცირე, ერთი ამდენი კიდევ უნდა შეეგდო, მაგრამ რაღაცნაირად დათარსულივით ჩანდა — რაგინდარა მომენტიდან გოლი ვერა და ვერ გამოადნო.

ნავსი 85-ე წუთზე გატყდა, როცა „ბობომ" გრძელი რეიდით თითქმის მთელი მოედანი გადასერა, გზად გიორგი ნავალოვსკისთან კედელი გაითამაშა და... არის!

მანამდე კი „დინამომ" ორი გოლის გატანა მოასწრო: 48-ე წუთზე იმავ ნავალოვსკიმ ვლადიმერ დვალიშვილს გაატანინა, 77-ეზე კი მეგრელაძემ შეირგო ალადაშვილის პასი და დუბლი შეასრულა.

ეს იყო და ეს. სხვა მომენტების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, მით უმეტეს, ანგარიში ყველაფერს ასახავს.

### პრესკონფერენცია

*გოჩა ჟორჟოლიანი:* ორი განსხვავებული ტაიმი იყო. პირველში გუნდს ვგავდით, მერე კი ყველაფერი აირია, ბიჭები მოეშვნენ და შედეგად დიდი ანგარიშით წავაგეთ. ეს ალბათ გამოუცდელობის ბრალია — ბევრი ახალგაზრდა ვათამაშე, რადგან ტრავმებმა შეგვაწუხა. თემურ გადელია კი უკრაინაში წავიდა.

„დინამოს" მოგებას ვულოცავ. ჩვენ კი, როგორც იქნა, ჩავამთავრეთ პირველი წრე და მომავალს იმედით ვუყურებთ. არის გარკვეული დაპირებები და ვნახოთ, რა იქნება. ალბათ უფრო ახალგაზრდებს დავეყრდნობით.

*ჟორჟოლიანს შესაძლო ტრანსფერებზეც ჰკითხეს, რაზეც მწარე ხუმრობით გვიპასუხა, ვინც ხელფასს გვთხოვს, ყველას გავასხვისებთო...*

*კახა ცხადაძე:* კარგი თამაში იყო. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ და ბიჭებს მადლობას ვუხდი. ბოლო ათი თამაშიდან რვა მოვიგეთ, ორი ფრე ვითამაშეთ და ერთადერთი გოლი გავუშვით, რაც ძალიან კარგი შედეგია. ახლა ლიდერს ოთხი ქულით ჩამოვრჩებით და, ტრავმების მიუხედავად, თამაში აშკარად გავაუმჯობესეთ.

# მოვიდა ზურაბა

## ზესტაფიონას თვალი ახალკაცმაც შეავლო

ზესტაფონი. 27 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 4 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 4:0 კახეთი

1:0 იონანიძე (13), 2:0 გოცირიძე (15), 3:0 ლონლაძე (58), 4:0 იონანიძე (65პ)

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი (გოგი ფიფია 13), გ. თურმანიძე, განუგრავა, ბ. ნოზაძე (მ. დაუშვილი 70), ბ. გოცირიძე, იონანიძე, იმედაძე (გელაჭეიშვილი 46)
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; ჯანელიძე, ბესარაშვილი, ბენაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**კახეთი:** ძამუნაშვილი, კევლიშვილი, ბედოიძე, კობაიძე, ნ. დავითაშვილი, კუპრაშვილი (იზორია 66), დ. ბურდული, ბ. ბურნაძე (ბიძანაშვილი 28), იმერლიშვილი, სოსელია, ტეტიაშვილი (ამირანიძე 72)
*სათადარიგონი:* ოთარაშვილი, ლოლაძე
**მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი

**გაფრთხილება:** იმერლიშვილი (41), ბედოიძე (63)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**მატჩი** რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, სტადიონზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი რომ გამოჩნდა. თითქოს პრეზიდენტის მოსვლას ელოდნენო, ფეროელებმა გოლიც გაიტანეს — გრიგოლ იმედაძემ მეკარესთან პირისპირ დატოვა ზურაბ იონანიძე, რომელმაც ერთი შეხებით გადაავლო თავზე ბურთი გელა ძამუნაშვილს — 1:0.

მალევე ბექა გოცირიძემ ისარგებლა მცველების უყურადღებობით და 2:0.

23-ე წუთზე მასპინძლებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და იონანიძე ისევ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, თუმც მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი გოგი ფიფიამ ვერ ივარგა.

ცოტა ხანში გოცირიძე გავიდა ძამუნაშვილთან პირისპირ, მაგრამ ამჯერადაც მეკარემ იმარჯვა.

ტაიმის მიწურულს თელაველებსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ მიხეილ სოსელიას დარტყმული ზურაბ ქვაჩახიამ მოიგერია.

მეორე ნახევარში ზესტაფონელებმა კიდევ ორი ბურთი გაუტანეს თელაველებს — 58-ე წუთზე ფიფიას ჩაწოდებული კუთხურიდან შალვა ლონლაძემ თავით გაიტანა.

65-ე წუთზე ვერცხლისწყალივით მოძრავი გოცირიძე აკრძალული ილეთით შეაჩერეს საჯარიმოში — პენალტი იონანიძემ დაარტყა და ზუსტადაც — 4:0.

ეს „იონას" 180-ე გოლი იყო ეროვნულ ჩემპიონატებში.

### პრესკონფერენცია

*ჯემალ მახარაშვილი:* ჩვენსა და ზესტაფონელებს შორის კლასში დიდი განსხვავებაა. მეტოქეს ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას.

*თემურ მახარაძე:* კარგია, რომ ასეთ მაჟორულ ნოტაზე დავასრულეთ ჩემპიონატის პირველი წრე.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## პირველი წრე 15 ტური

# მინდვრები, ქართლის მინდვრები...
## ბორჯომში მოედანიც დაჯდება და ხალხიც

ბორჯომი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

### ბორჯომი 4:3 დილა

0:1 ლაბაძე (8), 1:1 აფციაური (62), 1:2 ლაბაძე (65), 2:2 გაბისკირია (69), 3:2 ქორიძე (80), 4:2 გეწაძე (86), 4:3 ხანიშვილი (87)

*ბურნაძემ ვერ გაიტანა პენალტი (82, ააცილა)*

| ბორჯომი | დილა |
|---|---|
| ბორჯომი: მამარდაშვილი, ა. ბურნაძე, ლ. ჭელიძე, მიქიაშვილი, მესხი, დავით ბაქრაძე, გვირჯიშვილი, გაბისკირია, მემარნიშვილი (ქორიძე 67; ლაზარაშვილი 90), გეწაძე, აფციაური<br>*სათადარიგონი:* ზულმატაშვილი, გაჩეჩილაძე, დიმიტრი ბაქრაძე<br>მწვრთნელი: სოსო ფრუიძე | დილა: თ. ილურიძე (ნასყიდაშვილი 54), ალ. ლაბაძე, მ. თაყაძე (ტლაშაძე 57), სულთანიშვილი, კ. ხანიშვილი, საყვარელიძე, გოჩაშვილი, ქარქუზაშვილი, ხაჭაპურიძე, წუწუნავა, კობახიძე (ნადირაძე 16)<br>*სათადარიგონი:* მასურაშვილი, რ. თომაშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (71)

გაძევება: წუწუნავა (16)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი), გ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

ინსპექტორი: ა. დურსუნიშო

ლადო წულუკიძე ბორჯომიდან

**ხელოვნურ** საფარზე თამაში საქართველოსთვის უცხო ხილია და ამ საქმეში პიონერებად ბორჯომელები მოგვევლინენ. „ჯემალ ზეინკლიშვილზე" რემონტი ჯერაც არ დამთავრებულა და მხოლოდ 300-მდე ინდივიდუალური სკამია დამონტაჟებული, თუმცა უმაღლესი ხარისხის „მინდორი" უკვე მზადაა და მასპინძლებთან ერთად ჩემპიონატში პირველად გორის „დილას" მოუწია ამ საფარზე გასვლამ.

თავიდანვე გამოჩნდა, რომ გუნდებს უჩვეულო მოედანზე თამაში უჭირდათ და რამდენიმე წუთის განმავლობაში ფეხბურთელები ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ. ბურთი უხერხულად დახტოდა, თუმცა ბორჯომელებმა აგვიხსნეს, საფარი რომ „დაჯდება", შემდეგ ნამდვილისგან ველარ გაარჩევთო.

პირველივე წუთებზე იური გაბისკირიამ დაურტყა გორელებს, თუმც უხიფათოდ. „დილა" კი ნელნელა მოედანსაც გაუშინაურდა და მასპინძელთა ნახევარზეც უფრო თამამად დაიწყო გადასვლა. ჯერ კახა წუწუნავამ ააცილა მიზანს, შემდეგ კი მარჯვენა ფრთიდან მიხეილ თაყაძის ჩამოწოდებულს საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ალექსანდრე ლაბაძემ შეუშვირა თავი და „დილა" მატჩის დებიუტშივე დააწინაურა.

„ბორჯომი" გააქტიურდა. სორნიკე აფციაური ჭკვიანურ პასებს ურიგებდა ფორვარდებს, რომლებსაც გორელები ხშირად ხელოვნურ თამაშგარეში ტოვებდნენ.

მე-15 წუთზე მსაჯმა მოედნის ცენტრში ბორჯომელთა სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა, წუწუნავამ პროტესტი გინებით გამოხატა, რის გამოც „დილას" ათი კაცით მოუწია თამაშის ჩამთავრებამ.

მთელი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა ბორჯომელებისა იყო. გაბისკირიამ და გეწაძემ თითოჯერ დაურტყეს ილურიძეს, აფციაურმა კი — სამჯერ და აქედან ორჯერ გატანაც მართებდა. ყველაზე ახლოს წარმატებასთან მასპინძლები 33-ე წუთზე იყვნენ. პაატა გვირჯიშვილმა საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან ძალიან კარგად დაარტყა, თუმცა სტუმრები ძელმა იხსნა.

გორელები დროდადრო კონტრშეტევაზე გადადიოდნენ და ერთ-ერთ ეპიზოდში ბორჯომელთა მეკარეს კობა ხანიშვილის დარტყმულის მოგერიებაც მოუხდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე გამოჩნდა, რომ სტუმრები დაიღალნენ და „ბორჯომის" შეტევებს დიდხანს ველარ გაუძლებდნენ. ამას მეკარის ტრავმაც დაერთო — თამაზ ილურიძეს გაბისკირიას დარტყმულის მოგერიებისას კუნთი დაეჭიმა და შესაცვლელი შეიქნა.

ბორჯომელებმა საწადელს 62-ე წუთზე მიაღწიეს. აფციაურმა საჯარიმოს სიახლოვეს მცველი მოატყუა, ბურთი გეწაძეს მისცა, თვითონ კი საჯარიმოში შეიჭრა. გეწაძემ ბურთის დაბრუნება არ დააუგვიანა, აფციაურმაც მეკარე ცრუმოძრაობით ჩამოიშორა და ცარიელ კარში შეაგორა — 1:1.

ამ გოლს თითქოს საბოლოოდ უნდა გაეტეხა გორელები, თუმც სტუმრებმა დაახლოებით ერთ წუთში შეძლეს დაწინაურება. ბორჯომელთა მცველმა ლაშა ჭელიძემ ბურთის მეკარისთვის დაბრუნება გადაწყვიტა, თუმც ამის მაგივრად საჯარიმოში „ყოველი შემთხვევისთვის" მდგარ ლაბაძეს მისცა პასი და ამასაც დუბლის შესრულება არ გასჭირვებია — 1:2.

ისევ მიაწვა „ბორჯომი" და ოთხ წუთში ანგარიშიც გაათანაბრა. გეწაძე საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შევიდა და მეკარეს კარგად დაურტყა, თუმც ნასყიდაშვილმა მოგერიება შეძლო, გაბისკირიამ კი მცველებს დაასწრო და 2:2.

ბორჯომელებს მომდევნო შეტევისასვე შეეძლოთ წინ გასვლა, მაგრამ გიორგი ქორიძის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ალექსანდრე ბურნაძემ უხეიროდ დაარტყა და ბურთი კარს ააცილა.

მე-80 წუთზე „ბორჯომი" მაინც დაწინაურდა — გეწაძის ჩაწოდებულს ქორიძემ შეაგება თავი — 3:2.

ექვს წუთში კი გეწაძემ გვირჯიშვილის გადაცემა შეირგო და სტუმრები მეოთხედ დაამწუხრა.

გორელებმა მაინც გაიბრძოლეს და გეწაძის გოლიდან ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ დავით ტლაშაძემ საჯარიმოში შეჭრილ ხანიშვილს ქუსლით „მიართვა" ბურთი, ხანიშვილმაც თანაგუნდელი არ დაალალატა — 4:3.



სოსო ფრუიძის „ბორჯომმა" გორელები გიორგი ქორიძის გოლით გატეხა

### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმი გავაკეთეთ. წარმოიდგინეთ, ექვსი თვეა, იმის გარკვევას ვცდილობ, ვინ არის „დილას" პატრონი, ვის უნდა მივმართო დახმარებისთვის. მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ. რაც შეეხება წუწუნავას საქციელს, მას გამართლება არ აქვს. მსაჯების მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულება ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი სენია.

*სოსო ფრუიძე:* რაც უნდა ცუდ მდგომარეობაში იყოს, გორის „დილა" მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა და ამის შესახებ ბიჭებსაც ვაფრთხილებდი. როგორც ხედავთ, ჩემი სიტყვები გამართლდა. ვფიქრობ, ჩვენი გამარჯვება გარკვეულწილად გამართლებაც კი იყო, თანაც მეტოქე მატჩის დებიუტიდანვე ათი კაცით დარჩა.

ბოლნისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. თამაზ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 4 000)

### სიონი 3:1 ტორპედო

1:0 ბოლქვაძე (23), 2:0 დვალი (11), 2:1 ღონღაძე (56), 3:1 დვალი (67)

| სიონი | ტორპედო |
|---|---|
| სიონი: ბოპლიაშვილი, კობაური, ლ. მერებაშვილი, დ. სვანიძე, რაქვიაშვილი, ხმალაძე, დოლიძე (ჩაჩუა 61), ბოლქვაძე (ბაჯელიძე 73), ქუცურუა, დვალი, მიკუჩაძე (ქარდავა 54)<br>*სათადარიგონი:* გავაშელი; კორსანტია, ოქროპირიძე, ავალიანი<br>მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ტორპედო: მიგინეიშვილი, ორმოცაძე (ხურცილავა 36), ლაღაძე, რატი ბარაბაძე, მაღლაკელიძე, კ. შალამბერიძე, ზ. ჩხეტიანი, დოლონაძე (მ. ღონღაძე 36), კ. სვანიძე, ა. ფოფხაძე (მდივნიშვილი 78), დ. ჯანაშია<br>*სათადარიგონი:* გ. ბარაბაძე; ჯაში, ქურციკიძე, ზ. ჭელიძე<br>მწვრთნელი: რევაზ ბურკაძე |

გაფრთხილება: ჯანაშია (41), რაქვიაშვილი (45), ქუცურუა (69)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ვ. ურუშაძე, მ. ბეუქლიშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

## სიონმა და-ჯაბ-ნა

ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან

**როგორც** წესი, ბოლნისელი ქომაგები ნამატჩევს არ დაშლილან, მცხეთიდან ელოდნენ „ვიტ ჯორჯია" — „ბათუმის" შედეგს და იქაური 0:0-ის ამბავი რომ გაიგეს, ისეთი ყიჟინა დასცხეს, აქვენი მოწონებული. თუმცა გულშემატკივრები სიმწრითაც იხსენებდნენ ვიტელებთან ბოლო წამებზე წაგებულ თამაშს და აუტსაიდერ „სპარტაკთან" ვერმოგებას, ეჰ, ახლა ხომ პირველ ადგილზე ვიქნებოდითო...

და რა ქნა თავად „სიონმა"? ამას რა კითხვა უნდა — შინ თამაშობდა და, რა თქმა უნდა, დაგეგმილი სამი ქულაც აიღო. მატჩის დასაწყისი წმინდა ბოლნისური იყო: მასპინძლები პირველივე წამებიდან შტურმზე გადავიდნენ და კოკა მიკუჩაძემაც ჭკვიანური პენალტი მოინადირა, დავით ბოლქვაძეს კი თეთრი ნიშნულიდან ნირი არ შეხრია — 1:0.

ხვიჩა ქასრაშვილის ბიჭები ვახელდნენ, დამატებითი სიჩქარე ჰართეს და მე-11 წუთზე უკვე 2:0-ია — ბოლქვაძის დარტყმული საჯარიმო ცხრიანში მიფრინავდა და „ტორპედოს" მეკარე ომარ მიგინეიშვილმა ძლივს გადააგდო კუთხურზე, თუმცა იქიდან გიორგი ქუცურუას ჩაბზრიალებულს ჯაბა დვალმა უთავაზა ზუსტი თავური.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ქუთაისურებს ეროვნული ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი და ფორვარდი მერაბ მოძუაშვილი ტრავმების გამო აკლდათ, მასპინძლებმაც ასევე დაშავებული დაცვის ლიდერი თენგიზ ჩიკვილაძე მოაკლისეს.

...„სიონმა" ცალკარა გამართა, ცენტრიც მოუგო „ტორპედოს", ხოლო ფლანგებიდან გრიგოლ დოლიძემ და განსაკუთრებით ქუცურუამ ჭაილალეს, სტუმართაგან კი ვეტერანი დავით ჯანაშია და კობა შალამბერიძე აქტიურობდნენ ცოტ-ცოტას. შესვენებამდე ბოლნისელებმა სამი წალდი მომენტი გააცუდეს: მიკუჩაძეს მიგინეიშვილმა აუღო, დოლიძემ და ქუცურუამ კი ახლო მანძილიდან გადააცილეს ბურთი კარს.

რევაზ ბურკაძე რისი რევაზ ბურკაძე იქნებოდა, პირველივე ტაიმში არ მოეხდინა შეცვლები: გაუშართლა კიდეც, მამუკა ღონღაძემ რამდენიმე ლაზათიანი გარღვევა გააჭერხა, 56-ე წუთზე კი 20-25 მეტრიდან ისეთი დააქუხა, მინდია ბობღიაშვილს შანსი არ ჰქონია — 2:1. „ტორპედოს" თითქოს არაფრისგან შანსი გაუჩნდა, თუმცა „სიონი" სულაც არ ანერვიულებულა.

ეგაა, ბოლნისელი ქომაგები მაშინ შეშფოთდნენ, როცა ქასრაშვილმა ერთი შეხედვით უცნაური ცვლილებები გააკეთა (მიკუჩაძე და დოლიძე გაიყვანა), ემანდ, „ვიტ ჯორჯია" არ განმეორდესო...

„სიონის" მესამე გოლი კი 90 პროცენტით ქუცურუასი იყო: გიორგი საჯარიმოში მარცხნიდან შეიჭრა, სამი ქუთაისელი მიაფინტავა და დვალს გადააწოდა, რომელმაც ახლო მანძილიდან ინტრიგა მოკლა — 3:1.

დარჩენილ წუთებში საინტერესო მხოლოდ ის მოხდა, რომ ტორპედოელ კახა სვანაძეს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ ბობღიაშვილმა იყოჩაღა, მერე კი „სიონს" ძელი წაეხმარა.

სხვა რა, ბოლნისი მშვენიერ ხასიათზე დაემშვიდობა პირველ წრეს, დანარჩენი კი თებერვლიდან ვნახოთ...

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 15 ტური

# გუნდები იმედის შესვენებაზე წავიდნენ



[illegible] ფოტო

სახიფათო მომენტები მასპინძლებსაც ჰქონდათ და სტუმრებსაც

თბილისი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ოლიმპი. 500 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:0 ამერი

| | |
|---|---|
| **თბილისი:** ალავიძე, ი. ვაშაკიძე, გ. ფოფხაძე, ხოხონიშვილი, როსტომაშვილი, დარასელია, მიმინოშვილი, ბოჭოიძე (ბერიძე 77), ვ. ქორიძე, ლილუაშვილი (ვ. კვარაცხელია 89), კვასხვაძე<br>*სათადარიგონი:* თევდორაძე; გიორგი იაშვილი, ფირანიშვილი, თოფურია, გოგოხია<br>**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი | **ამერი:** ნაჭყებია, დავითნიძე, ხვადაგიანი, გ. კვახაძე, ელბაქიძე (ბერიანიძე 65), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ა. კაიდარაშვილი (დარსანია 62), კოშკაძე, ს. დავითაშვილი, სევასტოპულო (ტატანაშვილი 69)<br>*სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი; გ. ჩხეტიანი, სილაგავა, ჩიმაკაძე<br>**მწვრთნელი:** ნუგზარ ბოჯგუა |

**გაფრთხილება:** დეკანოსიძე (19), დავითნიძე (58), ბერიძე (80)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**კობა ინასარიძე**

**ახალგაზრდული** „თბილისი“ თითქოს რომ ათამაშდა, ჭაბუკმა ფეხბურთელებმა თავიანთი ძალებისა ირწმუნეს და მწვრთნელმა ოპტიმალურ შემადგენლობას მიაგნო, პირველი წრეც მაშინ დამთავრდა. რა როგორ იქნება და რამდენად წაადგება მოსამზადებელი პერიოდი თამაშის იშტაზე ახლაღა მოსულ „თბილისს“, მომავალში ვნახავთ. აი, „ამერს“ კი, შეიძლება ითქვას, შესვენებამ სულზე მიუსწრო და, წესით და რიგით, ახალი წლიდან გუნდი ძველებური შემართებით უნდა ათამაშდეს. თორემ ახლა რა, პრიზიორობისთვის მებრძოლმა „ყვითლებმა“ ჯერ წინა ტურში უშუალო კონკურენტ „სიონს“ გაატანეს გლდნიდან სამი ქულა, შაბათს კი აუტსაიდერ „თბილისს“ ვერ მოუგეს და, კაცმა რომ თქვას, თამაში მოსაგები არც ჰქონდათ. მეტიც, სულ ბოლო წუთზე „ამერი“ სასწაულებრივად გადარჩა — მეკარე რევაზ ნაჭყეპიას შეცვლაზე ახალშესული ვახტანგ კვარაცხელია პირისპირ შეეყარა და, გოლი რომ გარდაუვალი ჩანდა, „თბილისის“ ფორვარდმა ბურთი კარს გადააცილა. ასეთი რეალური მომენტი კი, როგორიც კვარაცხელიასი იყო, „ამერს“ არ ჰქონია, თუმც გიორგი დეკანოსიძეს და სულიკო დავითაშვილს საგოლედ კარგი შანსები გაუცუდდათ.

„თბილისთან“ სათამაშოდ „ამერი“ მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჩიხრაძის თანაშემწე ნუგზარ ბოჯგუამ მოამზადა. თავად ჩიხრაძე კი დისკვალიფიცირებული იყო და თანაც, გერმანიაში სტაჟირებაზე.

ბოჯგუას მეტოქისთვის სიახლე არ შეუთავაზებია, ეგ იყო, ძირითად მეკარედ გამოცდილი რევაზ ნაჭყეპია ვიხილეთ, ლადო ნადირაშვილმა კი სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა. ჰოდა, მატჩის დასაწყისში „ამერს“ სწორედ ნაჭყეპიამ უშველა, როცა მასთან პირისპირ გასულ ნიკო კვასხვაძეს არ გაატანინა. არადა, კვასხვაძეს ირაკლი ლილუაშვილმა საჯარიმოში იდეალური პასი გაუკეთა და ფორვარდსაც უკეთ დარტყმა შეეძლო. „ყვითლებმა“ მასპინძლებს უმალ უპასუხეს — დავითაშვილმა ისარგებლა „თბილისის“ მცველების შეცდომით, დასარტყმელად ჩინებულ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა და კარს საკმაოდ ააცილა. ცოტა ხანში ისევ დავითაშვილს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, თუმცა ამ ჯერზე მეკარე მიხეილ ალავიძემ არ დაანება. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ „ამერმა“ ამ მატჩში კარისკენ საკმაოდ ბევრჯერ დაარტყა, კარში კი სულ სამჯერ და ალავიძესაც არ გასჭირვებია მათი მოგერიება.

მეტოქეებს არც პირველ ტაიმში და, მით უმეტეს, არც შესვენების შემდეგ, ტემპიანი თამაშით თავი არ გამოუჩენიათ. ჟინი კი ჰქონდათ და ხისტი ეპიზოდებიც მრავლად ვნახეთ.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული რომ იყო, „ამერის“ უპირატესობა მაშინ გამოიკვეთა. ეს, ალბათ, უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, სტუმრები მასპინძლებზე ორი თავით მაღლა იდგნენო. „თბილისმა“ დაცვა გააძლიერა, უფრო ყურადღებით ათამაშდა და მეტოქის ფორვარდებს სამოქმედო სივრცე მაქსიმალურად შეუზღუდა. 65-ე წუთზე კი „თბილისს“ ისევ შეეძლო დაწინაურება — კონტრშეტევისას გიორგი როსტომაშვილმა დაარტყა ძალიან სახიფათოდ, მაგრამ უზუსტოდ. შემდეგ დეკანოსიძის ძლიერი და ასევე უზუსტო დარტყმა იყო.

მატჩის დამთავრებას ბევრიც არაფერი რომ აკლდა, ნერვების თამაში უფრო თვალსაჩინო გახდა, რამაც შედეგი, რა თქმა უნდა, არც ერთ გუნდს არ მოუტანა. „ყვითლები“ მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ, მაგრამ ქაოტურ შეტევებს „თბილისისთვის“ არაფერი დაუკლია.

### პრესკონფერენცია

*ნუგზარ ბოჯგუა:* ძალიან მძიმე მატჩს ველოდით და, შესაბამისად, სერიოზულადაც ვემზადებოდით. სამწუხაროდ, მოგება ვერ შევძელით, ამის საშუალება მეტოქემ არ მოგვცა. თამაშის ბოლოს კი მასპინძლებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ გაგვიმართლა.

*გიორგი დევდარიანი:* ფეხბურთელები კარგი თამაშისთვის და ბრძოლისთვის მადლობას იმსახურებენ. კმაყოფილებისგან შორს ვართ, მაგრამ ბოლო რამდენიმე მატჩში პროგრესი შეიმჩნევა, რაც მაიმედებს, რომ „თბილისი“ მეორე წრეში ახლანდელზე ბევრად უკეთ ითამაშებს.

# მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენა მქონდა

გორი. 26 ნოემბერი. 14 საათი. ქართლი. 100 მაყურებელი

## ცხინვალი 1:3 კოლხეთი

0:1 ჯანაშია (49), 0:2 ქუტიძე (62), 1:2 დათვაძე (80), 1:3 წიქარიშვილი (88)

| | |
|---|---|
| **ცხინვალი:** გიზო შენგელია, ზ. მაისურაძე, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, ფერსაევი, დ. ხანიშვილი, მოსიაშვილი (ნოზაძე 53), გამცემლიძე (გ. მაისურაძე 73), ეჯოშვილი, დათვაძე, ბაკარანძე (გ. ჩიტაია 53)<br>*სათადარიგონი:* ქესანაშვილი; ბოლოთაშვილი, ახალკაცი, ხოხობაშვილი<br>**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე | **კოლხეთი:** ბათიაშვილი, კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, რაზმაძე, ქუტიძე, ვართაგავა (წაბრია 53), კრასოვსკი (ცეკვაშვილი 53), მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია, წიქარიშვილი<br>*სათადარიგონი:* ლატარია, ძურქია, ყურაშვილი<br>**მწვრთნელი:** სოსო ფილია |

**გაფრთხილება:** ქუტიძე (32), ეჯოშვილი (34)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**„ცხინვალმა“** პირველი წრის ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა შინ, სტუმრებმა კი პირიქით, აქტიურად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

პირველი ნახევარი საკმაოდ უინტერესო იყო. მართალია, ფოთელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, მაგრამ სახიფათო მომენტები თითქმის არ იქმნებოდა.

შესვენების შემდეგ მოვლენები უფრო საინტერესოდ განვითარდა. ფოთელთა შეტევისას ზამირ ჯანაშიამ საჯარიმოში მიიღო ბურთი და ახლოდან ტექნიკური დარტყმით გახსნა ანგარიში — 0:1.

სტუმრებმა კვლავ განაგრძეს შეტევები და 62-ე წუთზე წიქარიშვილ-მარგალიტაძის კომბინაცია ილია ქუტიძის ზუსტი თავურით დასრულდა — 0:2.

მატჩის ბოლო ათი წუთი ორმხრივ შეტევებში გაილია. „ცხინვალი“ ოდნავ გამოცოცხლდა და ერთი საპასუხო ბურთიც გაიტანა — მე-80 წუთზე დავით ხანიშვილი გაექცა მცველებს, ზუსტად მიაწოდა ბურთი დავით დათვაძეს და 1:2.

ორი წუთის შემდეგ გაგა ჩიტაიას შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მისი დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

88-ე წუთზე კი საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. ჯონი შალამბერიძემ წიქარიშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ მისი დარტყმა გიზო შენგელიამ კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან ცეკვაშვილის ჩაწოდებულ ბურთს იმავ წიქარიშვილმა თავურით ცხინვალელთა კარში მიუჩინა ადგილი — 1:3.

### პრესკონფერენცია

*სოსო ფილია:* მეტოქეზე უფრო კარგი წარმოდგენა მქონდა. ჩემი გუნდის თამაშით და შედეგით კმაყოფილი ვარ.

*ზურაბ მაისურაძე, „ცხინვალის“ მწვრთნელის თანაშემწე:* წაგებას არ ველოდით, მაგრამ ისიცაა, რომ გამოცდილება გვაკლია. „კოლხეთი“ მოგებას იმსახურებდა, რადგან სისწრაფეში აშკარად გვაჯობა.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
გენერალური სპონსორი

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
## 15 ტური


ზაზა სახოკიას (№11) „ვიტ ჯორჯიამ“ კახა სიდამონიძის „ბათუმს“ ვერაფერი დააკლო

# ნუ ეხუმრებით ბათუმს და თოთლაძეს
## ვიტ ჯორჯიას ალმაცერობა ორ ქულად დაუჯდა

მცხეთა. 26 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი**

დილმელაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, გველესიანი, დ. ლომაია, კობიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, გ. დათუნაიშვილი (ლ. რაზმაძე 65), ფეიქრიშვილი, დილმელაშვილი, ზ. სახოკია (ა. კვახაძე 90), ნ. გელაშვილი (ბერიაშვილი 80), მარცვალაძე
სათადარიგონი: მიქაბერიძე, ქუხილავა, გ. მელქაძე, ებანოიძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ბათუმი: თოთლაძე, ი. მახარაძე, სიდამონიძე, ბეგლარ თედორაძე, დუმბაძე, ცანავა, ქაცარავა, გოგიშვილი (გალოგრე 65), გ. ჯელაძე, ბესიკ თედორაძე, ფარტენაძე (გ. მიქაძე 90)
სათადარიგონი: ი. ბალაძე, დიდია, ნაჭყებია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: სახოკია (78)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

ინსპექტორი: მ. ჭელიძე

**დავით თავართქილაძე** მცხეთიდან

„**ვიტ ჯორჯიამ**“ ამ ფრით შემოდგომის ჩემპიონობა კი გაინაღდა, მაგრამ „ბათუმთან“ დაკარგული ორი ქულა ვინძლო ძვირად დაუჯდეს — აჭარელებთან ვიტელები საკუთარ თავს არ ჰგავდნენ და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ვერგატანილი პენალტიც ალბათ ლოგიკური იყო — უწინდელ თამაშებთან შედარებით, „ვიტ ჯორჯიამ“ „ბათუმთან“, ცოტა არ იყოს, უნიათოდ ითამაშა.

არ იყო საგოლე მომენტები, ალტკინება, აფეთქება და „ბათუმი“ ის გუნდი არაა, უამისოდ ვინმემ დაჯაბნოს, ერთი ეგ იყო, „დინამოსთან“ ვერ ითამაშეს ზღვისპირელებმა ფხიანად მე-13 ტურში და იქნებ ამის იმედადაც იყვნენ ვიტელები.

მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და რამდენჯერმე აანერვიულეს კიდეც სტუმრები — ოთარ მარცვალაძის საჯარიმო დარტყმა და ბურთი ირაკლი თოთლაძის კარის ძელს ჩაეხახუნა, შემდეგ ზაზა სახოკიამ მახვილი კუთხიდან სცადა გატანა და თოთლაძემ იმარჯვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ვიტ ჯორჯია“ ოდნავ გაშლეგდა, თუმც ოდენ ერთი მწვავე ეპიზოდით გამოირჩა — დავით დილმელაშვილმა ოციოდე მეტრიდან გაისროლა, მაგრამ თოთლაძემ ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი და კუთხურზე მოიგერია.

არც „ბათუმის“ პასუხი იყო ნაკლები — ზურაბ დუმბაძემ ცოცხალ კედელს კარგად გადაავლო ბურთი, თუმც მისი ჯარიმა საგოლე ვერ გამოდგა — ბურთი მილიმეტრებით ასცდა „ვიტ ჯორჯიას“ კარს.

ტაიმის შუაწელში „ვიტ ჯორჯიამ“ ერთხელაც გამოანათა — მარცვალაძე კარგად შეიჭრა მარჯვნიდან „ბათუმის“ საჯარიმოში, კარის გასწვრივ ძალიან სახიფათოდ გაგზავნა ბურთი, მაგრამ სიტუაცია თოთლაძის ნახტომმა განმუხტა.

მატჩის ბოლოს მასპინძლებმა თითქოს პროტეინების და ვიტამინების ბოლო ინიექციები შეისრუტეს, „ბათუმს“ შტურმისმაგვარი მოუწყვეს, არეულობაში ერთ-ერთი ბათუმელს ბურთი ხელზე მოხვდა და მალხაზ მაისურაძემაც 11-მეტრიანი დანიშნა — ვიტელთა კაპიტან დილმელაშვილს თოთლაძემ კუთხე გამოუცნო და საკუთარ გუნდს გემრიელი ქულა მოაპოვებინა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 15 | 11 | 3 | 1 | 33:10 | 36 |
| სიონი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:12 | 35 |
| დინამო | 15 | 10 | 2 | 3 | 25:7 | 32 |
| ბორჯომი | 15 | 10 | 0 | 5 | 29:15 | 30 |
| ლოკომოტივი | 14 | 9 | 3 | 2 | 20:6 | 30 |
| ამერი | 15 | 9 | 2 | 4 | 15:9 | 29 |
| ზესტაფონი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:11 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 13:12 | 22 |
| კოლხეთი | 15 | 7 | 1 | 7 | 16:17 | 22 |
| დილა | 15 | 5 | 1 | 9 | 21:24 | 16 |
| კახეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 14:25 | 16 |
| ტორპედო | 15 | 3 | 4 | 8 | 10:17 | 13 |
| ცხინვალი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:26 | 12 |
| სოხუმი | 15 | 3 | 1 | 11 | 14:36 | 10 |
| სპარტაკი | 14 | 1 | 2 | 11 | 3:22 | 5 |
| თბილისი | 15 | 1 | 2 | 12 | 9:29 | 5 |

თბილისი. 28 ნოემბერი. 14 საათი. შევარდენი

**სპარტაკი — ლოკომოტივი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); გ. ასკაროლლი (ქარელი); ინსპექტორი: ე. სილაგავა

# მეგობრები კი არა, მეტოქეები
## დინამოს პირველი ცსკა ელის

**გადაწყდა** — „თანამეგობრობის თასი 2006“ 14 იანვარს დაიწყება და მოსკოვში გაიმართება. როგორც ჩანს, რუსული ფეხბურთის მამებმა ტურნირის კრასნოდარში ჩატარება ველარ გარისკეს და ნაცადი გზიდან აღარ გადაუხვიეს.

ახლა კი უფრო საინტერესო ამბავი: თბილისის „დინამოს“ მეტოქეები უკვე ცნობილია — მოსკოვის ცსკა, უზბეკეთის „ფახთაქორი“ და ესტონეთის ტვმკ, რომელსაც ჩვენები უეფას თასზე შეხვედრიან.

თბილისელები ტურნირს ცსკასთან მატჩით 14 იანვარს გახსნიან, ჯგუფის მომდევნო მატჩები 15 და 17 იანვარსაა დაგეგმილი.

ეს მოკლედ, უფრო დაწვრილებით კი „სარბიელის“ უახლოეს ნომრებში გაცნობებთ.

**კახა შალამბერიძე**


კახა ცხადაძის „დინამო“ „თანამეგობრობის თასს“ ცსკა-სთან მატჩით გახსნის

# როგორ გაამდიდრეს ქართველებმა ყაზახები

**ადრე** გაზეთებში ასეთი რუბრიკა იყო: „ეს საინტერესოა...“ ახლა კი, სწორედ საამრუბრიკო ამბავი უნდა გითხრათ. მართალია, ამ ამბავს ჩვენთვის უკვე არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ... ეს საინტერესოა...

კერძოდ: 8 ოქტომბერს თბილისში საქართველოს ნაკრებთან ნათამაშები 0:0-ის გამო ყაზახეთის ნაკრების ფეხბურთელებს პრემიებს დაურიგებენ. ყაზახები თანხის რაოდენობას არ აკონკრეტებენ, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ლაპარაკი ძალიან დიდ თანხაზეა, რომელსაც გუნდი ახალ წლამდე აუცილებლად მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ყაზახებმა სწორედ თბილისში მოიპოვეს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი და ერთადერთი ქულა.

საინტერესოა, არა?

**ლუკა თალაკვაძე**

# ქველმოქმედი ლაშა

**ხარკოვის** „მეტალისტმა“ 2000 დოლარი გადასცა ექვსი წლის დიანა სვიტაილოს, რომელიც ხანძრისას დამწვრობა მიიღო და ამჟამად საავადმყოფოში მკურნალობს. „მეტალისტის“ ქართველმა ლიდერმა ლაშა ჯაკობიამ გოგონა საავადმყოფოში მოინახულა. ლაშასთან ერთად ეს კეთილშობილური მისია გუნდის მეკარე ალექსანდრ გორიანოვმა და მთავარმა მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა შეასრულეს.



**ლუკა თალაკვაძე**

# ბავშვების ოლ სტარი
## ვნახოთ, დავაკვირდეთ, შევარჩიოთ

**როგორც** იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბავშვთა ლიგას სამ ასაკობრივ ჯგუფში ატარებს, თუმც ამას გარდა, 1988, 89, 90 და 91 წლებში დაბადებულთა პირველობებიც ტარდება.

9 დეკემბერს სფფ დასავლეთ-აღმოსავლეთის მატჩებს ჩაატარებს — ეს მოხდება ორ ასაკში, 1990 და 1991 წლებში დაბადებულებში.

ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განვითარების უფროსმა მენეჯერმა ავთანდილ შალამბერიძემ გვითხრა, რომ მსგავსი შეხვედრები ყოველი სეზონის ბოლოს მოეწყობა: „შერჩეულ ბავშვთა ოთხ გუნდს ვნახავთ, ანუ სულ 88 ბავშვი ითამაშებს. რა თქმა უნდა, გუნდებს თავიანთი კურატორები ეყოლებათ. ბუნებრივია, ეს ბავშვებზე დაკვირებისა და შერჩევის მიზნით ტარდება. თამაშები თბილისში, სავარაუდოდ, „ოლიმპის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მინდორზე გაიმართება“.

**ლუკა თალაკვაძე**

# მე ამისგან გავაკეთებ...

## ჯამლეტ ხუხაშვილი:

## გიორგი შერმადინი საქართველოს ეზრდება

„მთელი „მაკაბი“ მასზე მუშაობს. გუნდში ახალი მოთამაშე რომ მოდის, პირდაპირ ვეუბნები, თუ შეგიძლია, შერმადინი პასებით მოამარაგო, მის განვითარებას შეუწყო ხელი, მაშინ ჩვენი კლუბის კარი შენთვის ღიააო“ — ამას გვეუბნება „მაკაბის“ მწვრთნელი ჯამლეტ ხუხაშვილი, რომელიც ვლადიმერ სტეფანიას გამზრდელად ითვლება და ახლა არანაკლებ პერსპექტიული გიორგი შერმადინის გავარსკვლავება ამოუჭრია გულში.

ამოუჭრია კი არა, მთლიანად ამ საქმეშია ჩართული და ცდილობს, ამაში ნებისმიერი ადამიანი დაიხმაროს — მწვრთნელები, ექიმები, ჟურნალისტები, უბრალო გულშემატკივრები. ამბობს, შერმადინის გამარჯვება მხოლოდ ჩემი გამარჯვება როდი იქნებაო.

„სხვა თუ არაფერი, მისი კაიკალათბურთელობა საქართველოს პრესტიჟი იქნება და როცა შერმადინისგან ფინანსურ ბარაქასაც მოვიმკით, მასზე გაწეული შრომა არავის დაეკარგება“ — ალალად აცხადებს ხუხაშვილი.

მაინც, ვინაა გიორგი შერმადინი, ასეთი აჟიოტაჟი რომ ავხეტეთ? ისაა 214 სანტიმეტრი სიმაღლის, 16 წლის უწვერული ნატახტარელი ჯეელი, რომელსაც, როგორც დავით ტატიშვილის კლინიკის კომპეტენტური დიაგნოზისტები ასკვნიან, ზრდა ჯერ არ დაუმთავრებია და მინიმუმ 3-4 სანტიმეტრს კიდევ მოიმატებს.

ასეთებიც გვინახავს, რომლებსაც ბევრი ვერაფრისთვის მიუღწევიათო, ალბათ იტყვის ვინმე, თუმცა... შერმადინმა ინტენსიური ვარჯიში სულ რაღაც 10 თვეა დაიწყო. მანამდე კალათბურთის არაფერი გაეგებოდა, ახლა კი საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირია. მაგრამ არც ესაა მთავარი, შერმადინს აქვს შესანიშნავი მონაცემები — სიმაღლე, ორიენტაციის უნარი, კოორდინაცია, სისწრაფე და, რაც მთავარია, კარგი მიზანი. ეს ყველაფერი ნიკა ცქიტიშვილსაც ჰქონდა, რის გამოც ავანსად დრაფტზე მე-5 ნომრად აირჩიეს, მაგრამ მას შემდეგ 3 წელზე მეტი გავიდა და



„სკიტამ“ ჯერაც ვერ გაამართლა იმედები. შერმადინს აქვს ყველაფერი, რაც ცქიტიშვილს, პლუს განვითარებისა და ათვისების ჭომადლებული ნიჭი.

„სანამ გიორგი ჩემთან მოვიდოდა, მანამდე 2 წლიწადს სხვადასხვა მწვრთნელებთან ჰქონდა ურთიერთობა, — იხსენებს ხუხაშვილი. — მასზე მხოლოდ ის მესმოდა, რომ ძალიან მოუხეშავი და განუვითარებელია, რომელსაც ელემენტარულს ვერაფერს შეაგნებინებ. შევხედე, ამხელა სიმაღლის, უწვერული და სრულიად ბავშვია, გადავწყვიტე, დუბლებში მიმელო და სწორედ მაშინ ვიპოვე ბაჯაღლო ოქრო მისი სახით. იმ დღიდან მოყოლებული შერმადინი განუწყვეტლივ ვითარდება. მე არ ვაკნინებ სხვა მწვრთნელების გაწეულ სამუშაოს, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ მას საკალათბურთოდ ტვინი სწორედ „მაკაბიში“ მოსვლის შემდეგ გაეხსნა. ეს ბედის ამბავი იყო და არა მწვრთნელის დაულალავი შრომის შედეგი. მაშინ შერმადინმა ხეირიანად ორი ნაბიჯის გადადგმა არ იცოდა, ფარქვეშ მარცხნიდან ვერ შედიოდა, მაგრამ ძალიან მალე მან სასწაული ტემპებით დაიწყო განვითარება“.

შერმადინი გასულ ზაფხულს კადეტთა ნაკრებთან ერთად ბულგარეთში იმყოფებოდა და სწორედ იქ შეარჩიეს ევროპელმა სკაუტებმა ბერლინის კემპისთვის. გიორგიმ გერმანიის დედაქალაქში დიდი მოწონება დაიმსახურა. მის შესახებ ინტერნეტში არაერთი ცნობა გაჩნდა, და აი, სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ თბილისში „კლივლენდ კავალიერზის“ სკაუტი, ვირგინიუს ბულოტასი ჩამოვიდა, რომლის სამიზნესაც გიორგი ცინცაძესთან ერთად შერმადინიც წარმოადგენდა.

ამის შემდეგ NBADRAFT.COM-ზე გამოჩნდა შერმადინის ძალიან საქებარი სიტყვებით გაჯერებული დოსიე. შერმადინის ყველა ხილული თუ არახილული თვისება ამ ვებ-გვერდზე ზედმიწევნით იყო აღნუსხული. ჰოდა, როცა „მაკაბი“ ამას წინათ ისრაელში გაემგზავრა, იქაური წამყვანი კლუბების წარმომადგენლები ხუხაშვილს დარაზმულნი დახვდნენ, შერმადინი მოგვყიდე და მალე ის ჩვენგან ნბა-ში წავაო.

ჯამლეტის პასუხი ერთმნიშვნელოვანი და კატეგორიული იყო: „შერმადინი არ იყიდება. ის ნბა-ში ან რომელიმე წამყვან ევროპულ კლუბში საქართველოდან წავა მაშინ, როცა სრულიად ჩამოყალიბებულ, პროფესიონალ კალათბურთელად იქცევა. ამით ჩვენ შევქმნით იმის პრეცედენტს, რომ საქართველოშიც შესაძლებელია კარგი მონაცემების მოთამაშის პროფესიონალად ჩამოყალიბება“.

ისრაელში „მაკაბი“ იერუსალიმის „ჰაპოელსა“ და აშდოდის „მაკაბის“ შეხვდა. ეს გუნდები მეორე დივიზიონში თამაშობენ, თუმცა ხელწამოსაკრავები სულაც არ არიან. პირველი ხუხაშვილის გუნდმა 91:70 დაამარცხა და ამ მატჩში შერმადინმა სასწაული შედეგიანობა გამოიჩინა — 37 ქულა, 22 მოხსნა, 12 პასი და 8 დაფარება. ვისაც გინდა ეთამაშებოდე და თუნდაც მთელი გუნდი შენზე იყოს მომართული, ასეთ რამეს რომ მოახერხებ, ჩვეულებრივი კალათბურთელი არ გეთქმის.

სწორედაც რომ არაჩვეულებრივად მიიჩნევს ხუხაშვილი თავის შეგირდს და ამიტომაცაა, მისი ადრიანად საზღვარგარეთ გაშვება რომ არ უნდა.

გიორგი აშდოდში შედარებით მოკრძალებული იყო. მას მეურვეობდა ამერიკელი ცენტრი, რომელსაც, ხუხაშვილის თქმით, 100 ათასი დოლარი აქვს ხელფასი წელიწადში. აშდოდურმა „მაკაბიმ“ თბილისური ბოლო წამზე 88:85 დაამარცხა, შერმადინმა კი 25 ქულა, 15 მოხსნა და 10 პასი მიაშველა თავისიანებს.

აი, ასეთი ბიჭია გიო შერმადინი, რომელსაც განვითარებისთვის ყველა პირობა შეუქმნა ჯამლეტ ხუხაშვილმა. მას ავარჯიშებენ წამყვანი ქართველი მწვრთნელები, თვეში 2-ჯერ გადის სრულ სამედიცინო გამოკვლევას, ცხოვრობს სპორტის სასახლეში მდებარე კეთილმოწყობილ ოთახში („მაკაბის“ ოფისში) და ემსახურება მანქანა.

ის „მაკაბის“ ყოველ მატჩს სრულად თამაშობს და დროგამოშვებით უცხოეთში დადის — კემპებზე, ამხანაგურ მატჩებზე და ოფიციალურ ასაკობრივ სანაკრებო ტურნირებზე. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო, ამაზეა ნათქვამი.

ჰოდა, მიდი, ნატახტარელო ბიჭო!

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

25 ნოემბერი

**ინდიანა 85:87 ატლანტა**

**ინდიანა:** ტინსლი (12), ჯონსი (6), ჯეკსონი (9), კროშერი (10 ქულა, 15 მოხსნა), ონილი (30 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება); იასიკევიჩუსი (14), გრეინჯერი (3), ჯონსონი (1), ჰარისონი

**ატლანტა:** ლუ (7), ჯონსონი (16 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), სმიტი (10), ჰარინგტონი (17), **ფაჩულია** (22 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა); ჩილდრესი (14 ქულა, 13 მოხსნა), სტუდემაიერი (10), ედვარდსი (4), უილიამსი (3), ბატისტა (2)

**მინესოტა 99:91 მილუოკი**

**მინესოტა:** შჩერბიაკი (30), იარიჩი (24), გარნეტი (17 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**მილუოკი:** რედი (28), მალუა (14 ქულა, 10 მოხსნა)

**დეტროიტი 114:120 ვაშინგტონი**

*ძირითადი დრო 95:95*

**დეტროიტი:** რ. ვოლესი (33 ქულა, 11 მოხსნა), ბილაფსი (21), პრინსი (17), ჰამილტონი (11), ბ. ვოლესი (9 ქულა, 16 მოხსნა)

**ვაშინგტონი:** არენასი (39), ბატლერი (27), ჯემისონი (22 ქულა, 20 მოხსნა), ეტკინსი (20)

**ორლანდო 104:89 პორტლენდი**

**ორლანდო:** ნელსონი (24), ჰოკარდი (21 ქულა, 18 მოხსნა), სტივენსონი (16), თურქოღლუ (15)

**პორტლენდი:** მაილზი (23), ტელფაირი (20), პრჟიბილა (15 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება)

**ბოსტონი 90:89 შარლოტი**

**ბოსტონი:** პირსი (27), დევისი (25), ლაფრენცი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი:** ნაითი (17), ვოლესი (17), რაში (14), ოკაფორი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი 90:103 დალასი**

**მაიამი:** უილიამსი (24), ვეიდი (23), ჰეისლიპი (14), მურნინგი (13 ქულა, 7 მოხსნა, 6 დაფარება)

**დალასი:** ჰოვარდი (25 ქულა, 11 მოხსნა), ნოვიცკი (23), დამპიე (17), დანიელსი (14)

**მემფისი 86:81 ჰიუსტონი**

**მემფისი:** ბეტიე (20), ჯონსი (17), სტუდემაიერი (15)

**ჰიუსტონი:** ანდერსონი (16), მინი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**სან ანტონიო 99:106 ჩიკაგო**

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქულა, 11



ზაზა ფაჩულია ინდიანელთა ლიდერ ჯერმენ ონილს გადაელობა

მოხსნა), ჯინობილი (16), ვან ექსელი (15)

**ჩიკაგო:** გორდონი (19), დუპონი (18), დენგი (17)

**დენვერი 105:95 კლიპერსი**

**დენვერი:** ენტონი (35), მარტინი (16), მილერი (15)

**კლიპერსი:** მეგეტი (22), ბრენდი (20 ქულა, 11 მოხსნა), მობლი (18), კასელი (15)

**იუტა 90:94 გოლდენ სტეიტი**

**იუტა:** უილიამსი (24), ჰარპრინგი (21)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (29), დევისი (13 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

**საკრამენტო 106:104 ტორონტო**

**საკრამენტო:** ბიბი (25), აბდურ-რაჰიმი (22), ველსი (18), მილერი (16)

**ტორონტო:** ბოში (22), ჯეიმსი (17)

**ფინიქსი 92:81 ნიუ ჯერსი**

**ფინიქსი:** ნეში (27), ბელი (13)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (25 ქულა, 13 მოხსნა), კარტერი (23), ჯეფერსონი (16 ქულა, 12 მოხსნა)

26 ნოემბერი

**კლივლენდი 85:89 მინესოტა**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (38)

**მინესოტა:** გარნეტი (26 ქულა, 11 მოხსნა), ჰადსონი (18), შჩერბიაკი (16)

*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**ნიუ იორკი 105:102 ფილადელფია**

*ძირითადი დრო 94:94*

**ნიუ იორკი:** მარბერი (33), ფრი (21 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (17)

**ფილადელფია:** აივერსონი (40 ქულა, 10 პასი), ვებერი (19)

**სიეტლი 99:105 ნიუ ორლეანი**

**სიეტლი:** ლუისი (21), ალენი (15)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (21), სმიტი (19), პოლი (17 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

**ორლანდო 80:77 მაიამი**

**ორლანდო:** თურქოღლუ (18), ჰოვარდი (15 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება)

**მაიამი:** ვეიდი (21), მურნინგი (15 ქულა, 21 მოხსნა, 4 დაფარება)

**შარლოტი 100:82 ვაშინგტონი**

**შარლოტი:** ვოლესი (24 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), რაში (23)

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (20 ქულა, 12 მოხსნა), ჰეივუდი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ჰიუსტონი 89:94 ჩიკაგო**

**ჰიუსტონი:** მინი (30), ვესლი (13)

**ჩიკაგო:** გორდონი (18), ნოჩიონი (17), ჰარინგტონი (16)

**დალასი 92:112 მემფისი**

**დალასი:** ნოვიცკი (27), ჰოვარდი (17)

**მემფისი:** გასოლი (36 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი), სტუდემაიერი (22), ჯეკსონი (15)

**მილუოკი 76:85 დეტროიტი**

**მილუოკი:** რედი (23), ბოგუტი (12)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (20), ბილაფსი (17), პრინსი (17), რ. ვოლესი (15), ბ. ვოლესი (2 ქულა, 18 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 117:91 ტორონტო**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (25), მერფი (21), დანლივი (17), დიოგუ (15)

**ტორონტო:** ბოში (21), პიტერსონი (21)

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბერძენთა ღმერთები ტურინს განურისხდნენ

*უძველეს ოლიმპიაში დაანთეს ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი, ოღონდ არა მზის სხივებისგან, როგორც ეს ტრადიციისამებრ ისტორიულად ჩამოყალიბდა, არამედ იმ ალისგან, რომელიც ამ ცერემონიალის გენერალური რეპეტიციიდან მიიღეს.*

*მართალია, გენერალურ რეპეტიციაზე ცეცხლი მზის სხივებისგან დაანთეს, მაგრამ ტრადიცია მაინც დაირღვა*

**ოლიმპიური** ცეცხლის დანთების იდეა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სულისჩამდგმელს, ფრანგ ბარონ პიერ დე კუბერტენს ეკუთვნის. სწორედ მისი ინიციატივა იყო ცეცხლის მზის სხივებისგან მიღება, რასაც ლინზების საშუალებით ახერხებდნენ.

ეს იდეა კუბერტენს 1912 წელს დაებადა, ხოლო 1928 წელს განხორციელდა.

მას მერე ოლიმპიური ცეცხლს სწორედ ამგვარად ღებულობენ და იგი ჩირაღდნის საშუალებით ესტაფეტურად მოგზაურობს მთავარი ოლიმპიური სტადიონისკენ, სადაც თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ვეება ფიალაში ცეცხლი ინთება.

ტურინის ოლიმპიადა, რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გუშინ ოლიმპიაში, ოლიმპიური ცეცხლის დანთებისას ლაფსუსი მოხდა, რაც უამინდობამ განაპირობა — სქელმა ღრუბელმა მზე მთლიანად დაფარა. ამიტომაც ორგანიზატორები იძულებული გახდნენ სარეზერვო ვარიანტისთვის მიემართათ, რაც რეპეტიციაზე მიღებული ცეცხლის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

ცერემონია დაიწყო უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტის რიტმული ჰანგებით. ამ მუსიკის თანხლებით ჰერას ტაძრის კოლონების გასწვრივ ნელა ჩაიარა თვრამეტმა ქურუმმა, რომლებიც თეთრ ქლამიდებში იყვნენ შემოსილნი. უმაღლესმა ქურუმმა თეოდორე სიარკუმ ხელები აღაპყრო და აპოლონისა და ზევსისადმი მიძღვნილი ლოცვა წარმოთქვა:

„ო, აპოლონო, მზისა და სინათლის ღმერთო, გამოგვიგზავნე შენი სხივები და აანთე წმინდა ჩირაღდანი სტუმართმოყვარე ტურინისათვის. და შენც, ზევსო, აჩუქე მშვიდობა მსოფლიოს ყველა ხალხს და წმინდა შეჯიბრების გამარჯვებულნი გვირგვინებით შეამკე."

მაგრამ ღმერთებმა ლოცვა არ შეისმინეს და ღამით ოლიმპიაში გაავდრდა, დილა კი მოქუფრული გათენდა. მზემ ცერემონიალის დაწყებამდე ცოტა ხნით გამოაჭყიტა ღრუბლებიდან, მაგრამ უმალ დაიმალა.

მას მერე, რაც ანტიკურ ოლიმპიაში ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტას მიეცემა სტარტი, იგი 10 დღის განმავლობაში მთელ საბერძნეთში იმოგზაურებს და თავის ოდისეას ამ ქვეყნის დედაქალაქში დაამთავრებს.

10 დღის განმავლობაში ესტაფეტა 2006 კილომეტრს გაივლის და მისგან 45 ადგილზე დაანთებენ ოლიმპიურ ცეცხლს, ესტაფეტაში კი 534 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

საბერძნეთის ტერიტორიაზე ესტაფეტის დასრულების შემდეგ ათენის ანტიკურ მარმარილოს სტადიონზე გაიმართება ოლიმპიური ჩირაღდნის იტალიის მხარისთვის გადაცემა. ეს ცერემონია მოსკოველთა გალა კონცერტით დასრულდება ათენის მუსიკის სასახლეში.

ესტაფეტა ამის მერე იტალიის ტერიტორიაზე გაგრძელდება და 10 თებერვალს ტურინში ზამთრის ოლიმპიადის თამაშების გახსნის ცერემონიალზე დასრულდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# უმაგამ დიდ რაგბის უგანა



ტანა უმაგა უკანასკნელად „დირიჟორობს" „მაორების" ჰაკას

დღე იყო — მძლავრმა ჩრდილოელებმა ყოჩაღი სამხრეთელები ისტუმრეს და ერთი გამონაკლისის გარდა წუღები უკუღმა აყრევინეს.

სამხრეთაფრიკელი „ქურციკები" „სტად ფრანსეზე" იქაურ „მამლებს" დიდის ამბით შეუხტნენ და იქიდან მწარედ დაკორტნილებმა გამოქუსლეს. აფრიკელთა ღონიერი ფორვარდები სტანდარტებში: დერეფანში, შერკინებასა და ასე შემდეგ — აშკარად სჯობდნენ ფრანგებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ისე მარჯვედ დაძვრებოდნენ მომხვდურთა დაცვის არცთუ დაუცველ რიგებში, რომ ეჭვიც არავის შეჰპარვია, გამარჯვება ვის დარჩებოდა. ფრანგთა ნახევარდაცვამ, მიშალაკ — ელისალდეს წყვილმა, კარგი სარაგბო გაკვეთილი ჩაუტარა აფრიკელთა ახალბედა ოპონენტებს — ბოსმანსა და კლაასენს და საერთოდ „ქურციკთა" უკანა ხაზს და 3 ძალიან ლამაზი ლელოც გამოაცხო. თანაც რამდენიმე თავისი აუტი საფრანგეთმა ყოველგვარი სინანულის გარეშე უფეშქაშა სტუმრებს.

გვარიან პარიზულ სიცივეში აფრიკელები ჯერ ხეირიანადაც არ გახურებულიყვნენ, რომ ორელინ რუჟერიმ მასპინძელთა ზურგიდან რეიდი დასცხო. ეს წოწოლა გარემარბი კი შებოჭეს აფრიკელებმა, მაგრამ ბურთი ახლა იანიკ ნიანგამ მოიხელთა. კვაჭ დიმიტრი შარჟევსკის გადააწოდა და ესეც ლამის ფეხებშუა გაუძვრა ორმეტრიან ბაკიზ ბოთას. მასპინძლები მესამე წუთზე 7:0 დაწინაურდნენ, ხოლო მეათე წუთისთვის უკვე 15:0 იგებდნენ. სტუმრებმა პირველი ტაიმი მონტგომერის ერთი საჯარიმოსამარა დაასრულეს. მეორე ნახევარში ისინი უფრო შედეგიანად კი აბურთავდნენ, მაგრამ არც „მამლებს" ეძინათ — ჯერ 18:3 იგებდნენ, 23:10 და 26:13 რომ გაიჭრნენ, მერეღა მისცეს სტუმრებს მეორე და ესეც პრესტიჟის ლელოს გატანის უფლება.

ჩრდილოური ექვსი ერის წლევანდელმა ჩემპიონმა უელსმაც არ დააკლო ლელოები კიდევ ერთ სამხრეთელ გიგანტ ავსტრალიას, ოღონდ უფრო თანაბარ ბრძოლაში გამოჭედა გამარჯვება.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისს, „ვარდებმა" თვიქნემში სრულიად წალეკეს ფეხმარდი, თუმცა ამ შაბათს ვერაფრის მქნელი სამოელები. პოლინეზიელებმა ისღა მოახერხეს, ინგლისელ მორკინალ ლუის მუდის ერთი-ორი მუშტი უთავაზეს (არც ეს დარჩა ვალში).

სამხრეთელთა ღირსება ახალმა ზელანდიამ იხსნა, რომელმაც ედინბურგში შოტლანდია მოიხელთა და ერთი ლელოს წილ ოთხი გაუტანა.

შედარებით მჭლე სქოთების წამოქცევა არანაირად არ აკნინებს „მაორთა" გამარჯვებას, რაკი მათ მანამდე ირლანდია, უელსი და ინგლისიც დასცეს და დიდი სლემიც შეასრულეს. თანაც ამ ოთხ ჯახში „ოლ ბლექსმა" 3 ლელოს წილ 16 გაიტანა და ჯამში 138:39 მოიგო!

ვერაფერს ვიტყვით, გვარიანი შედეგია.

და ერთიც: შოტლანდიური მატჩი, შესაძლოა, უკანასკნელი სანაკრებოც კი იყო ახალზელანდიელთა ლეგენდარული კაპიტნის, ტანა უმაგასთვის.

**კოტე ყორშია**

26 ნოემბერი. ედინბურგი

**შოტლანდია 10:29 ახ. ზელანდია**

**შოტლანდია:** 1 ლელო: ვებსტერი; 1 გარდასახვა: პატერსონი; 1 საჯარიმო: პატერსონი

**ახალი ზელანდია:** ისაია ტოეავა, რიკო გირი, კონრად სმიტი, ტანა უმაგა (კაპ), ჯო როკოკოკო; ნიკ ევანსი, პირი ვეეპუ; სიონ ლუაკი, რიჩი მაკქოუ, ანგუს მაკდონალდი, ჯეიმს რაიანი, კრის ჯეკი, ჯონ აფოა, ანტონ ოლივერი, საიმონ ტაუმოეპერაუ

*სათადარიგოები:* ენდრიუ, ჰორი, ნეემია ტაილატა, ჯეისონ იტონი, მოუზ ტუაილიი, ჯიმი კოუენი, ლეონ მაკდონალდი, მაა ნონუ

4 ლელო: გირი (2), ევანსი, ლაუაკი; 3 გარდასახვა: ევანსი (2), ლ. მაკდონალდი; 1 საჯარიმო: ევანსი

26 ნოემბერი. პარიზი

**საფრანგეთი 26:20 ს. აფრიკა**

**საფრანგეთი:** ტომას კატანედი, ორელინ რუჟერი, ფლორიან ფრიცი, იანიკ ჟოზიონი, სედრიკ ჰეიმანი; ფრედერიკ მიშალაკი, ჟან-ბაპტის ელისალდე; რემი მარტინი, ჟულიენ ბონარი, იანიკ ნიანგა, ჟერომ თიონი (კაპ), ლიონელ ნალე, პიტერ დე ვილერსი, დიმიტრი შარჟევსკი, ოლივიე მილუ

*სათადარიგოები:* სებასტიენ ბრუნო, სილვიან მარკონე, გრეგორი ლამბორლი, ტომას ლივრემონი, პიერ მინონი, იან დელაჟი, პეპიტო ელორგა

3 ლელო: შარჟევსკი, თიონი, რუჟერი; 1 გარდასახვა: მიშალაკი; 3 საჯარიმო: ელისალდე (2), მიშალაკი

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ჟაკ ფური, იან დე ვილერსი, ბრაიან ჰაბანა; მაიერ ბოსმანი, მიქაელ კლაასენსი; ჯაკ კრონჩე, იუან სმიტი, შალკ ბურგერი, ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ), ოზ დუ რანტი

*სათადარიგოები:* გარი ბოთა, ედი ენდრიუზი, ალბერტ ფან დენ ბერგი, დენი როსოუ, ბოლა კონრადი, დე ვეტ ბერი, კონრად იანტიესი

2 ლელო: ბოთა, ფური; 2 გარდასახვა: მონტგომერი, 2 საჯარიმო: მონტგომერი, ბოსმანი

26 ნოემბერი. კარდიფი

**უელსი 24:22 ავსტრალია**

**უელსი:** გარეტ ტომასი (კაპ), დაფიდ ჯეიმსი, მეტიუ ოტკინსი, სონი პარკერი, შეინ უილიამსი; სტივენ ჯონსი, გარეტ კუპერი; მაიკლ ოუენი, მარტინ უილიამსი, კოლინ შარვისი, რობერტ სიდოლი, იან გუ, კრის ჰორსმანი, რიის ტომასი, დანკან ჯონსი

*სათადარიგოები:* მეფინ დევისი, ადამ ჯონსი, იან ევანსი, ჯონათან ტომასი, მაიკლ ფილიპსი, სერი სვიტნი, ლი ბირნი

2 ლელო: შ. უილიამსი, საჯარიმო ლელო; 1 გარდასახვა: ს. ჯონსი; 4 საჯარიმო: ს. ჯონსი

**ავსტრალია:** კრის ლეითემი, მარკ ჯერარდი, ლოუტ ტუკირი, მორგან ტურინუი, დრიუ მიტჩელი; მეტ როჯერსი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); ჯორჯ სმიტი, ფილ ვუ, ჯონ რო, ნათან შარპი, ჰიუ მაკმენიმანი, დევიდ ფიტერი, ბრენდან ქენონი, მეტ დანენგი

*სათადარიგოები:* ტატაფუ როლოტანაუ, ალ ბაქსტერი, მარკ ჩიშოლმი, სკოტ ფავა, კრის ვაიტეკერი, ლოიდ იოჰანსონი, ვენდელ სეილორი

3 ლელო: ტუკირი, შარპი, ლეითემი; 2 გარდასახვა: როჯერსი; 1 საჯარიმო: როჯერსი

26 ნოემბერი: თვიქნემი

**ინგლისი: 40:3 სამოა**

**ინგლისი:** ჯოშ ლუისი, მარკ კუეტო, ჯეიმს სიმპსონ-დანიელი, მაიკ ტინდალი, ტომ ვოისი; ჩარლი ჰოჯსონი, ჰარი ელისი; მარტინ ჰორი (კაპ), ლუის მუდი, პატ სანდერსონი, ლუის დიკონი, სტივ ბორსვიკი, მეტ სტივენსი, სტივ ტომპსონიტ, ენდი შერიდანი

*სათადარიგოები:* ლი მირსი, პერი ფრეშუოტერი, საიმონ შოუ, ჯეიმს ფორესტერი, პეტერ რიჩარდსი, ოლი ბერკლი, ტომ ვარნდერი

5 ლელო: ვოისი (2), ჰოჯსონი, ელისი, ვარნდელი; 3 გარდასახვა: ჰოჯსონი; 3 საჯარიმო: ჰოჯსონი

**სამოა:** 1 საჯარიმო: ვილი

**ევროპის** სარაგბო ღედაქალაქებში შაბათს დიდი ბურთაობის

## რეგულარული ჩემპიონატი

# სისულელე
## ეს არის ის, რასაც ახალ ნჰლ-ს ეძახიან



ალექსეი იაშინის (№79) „აილენდერსმა“ გასვლაზე მოუგო „ფილადელფიას“

25 ნოემბერი

**ფლორიდა 6:3 პიტსბურგი**
*4:1 2:2 0:0*
1:0 ჰუსელიუსი (2), 2:0 იოკინენი (3), 2:1 პალფი (9), 3:1 რობერტსი (9), 4:1 იოკინენი (14), 4:2 კროსბი (21), 4:3 კრისტენსენი (28), 5:3 იოკინენი (31), 6:3 უაისი (33)

**„ფლორიდას“** გამარჯვება სამმაგი ზეიმით აღინიშნა. ჯერ ერთი, ეს გუნდის პირველი წარმატება იყო ზედიზედ 12 წაგებული თამაშის შემდეგ, თანაც კაპიტანმა ოლი იოკინენმა თავისი მე-500 მატჩი ლიგაში ჰეთ თრიქით გაალამაზა.

**ტამპა 2:8 ნიუ ჯერსი**
*1:4 1:3 0:1*
0:1 მოგილნი (5), 0:2 გომესი (10), 0:3 ბრილინი (11), 0:4 ჯიონტა (13), 1:4 მოდინი (18), 1:5 მოგილნი (26), 2:5 სან ლუი (27), 2:6 კოზლოვი (30), 2:7 ბრილინი (37), 2:8 ლანგენბრუნერი (54)

**ჩემპიონის** შერცხვენაში ყველაზე დიდი წვლილი ვიქტორ კოზლოვმა შეიტანა, რომელმაც გოლს 4 პასი დაამატა.

**აილენდერსი 2:6 ოტავა**
*1:1 1:3 0:2*
0:1 ჰიტლი (10), 1:1 იაშინი (15), 1:2 ვარადა (25), 1:3 ივზი (29), 2:3 ჟიტნიკი (35), 2:4 შეფერი (39), 2:5 სპეცა (54), 2:6 ჰემელი (60)

**ბოსტონი 3:5 ფილადელფია**
*0:1 3:3 0:1*
0:1 განიე (17), 0:2 დეჟარდენი (25), 1:2 ნიკულასი (26), 2:2 ტორნტონი (29), 3:2 შლეგრი (30), 3:3 ფორსბერგი (32), 3:4 ფორსბერგი (34), 3:5 ჰანდზუში (60)

**მინესოტა 5:3 სენტ ლუისი**
*0:0 2:3 3:0*
1:0 უოლცი (21), 1:1 ტკაჩუკი (28), 2:1 გაბორიკი (28), 2:2 მაკამონდი (29), 2:3 მაკამონდი (40), 3:3 ფოსტერი (43), 4:3 ბუშარი (56), 5:3 ბუშარი (58)

**ანაჰაიმი 3:1 დეტროიტი**
*1:0 0:1 2:0*
1:0 მაკდონალდი (16), 1:1 ზეტერბერგი (23), 2:1 სელიანე (50), 3:1 ჰედსტრიომი (60)

**კაროლინა 4:3 ტორონტო**
1:1 2:1 *0:1 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*
1:0 ჰედიკანი (5), 1:1 ონილი (19), 2:1 სტაალი (24), 2:2 ელისონი (34), 3:2 ლადი (38), 3:3 კილგერი (52), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ვრბატა

**კოლუმბუსი 0:5 კოლორადო**
*0:2 0:1 0:2*
0:1 სვატოში (14), 0:2 ლაპერიე (20), 0:3 ბრიუნეტი (40), 0:4 მეი (45), 0:5 საკიკი (47)

**ბუფალო 3:1 მონრეალი**
*0:0 2:0 1:1*
1:0 კოტალიკი (27), 2:0 კემპბელი (32), 2:1 ზედნიკი (24), 3:1 კონოლი (37)

**დალასი 1:4 ფინიქსი**
*0:1 1:1 0:2*
0:1 კომრი (8), 0:2 დოუნი (26), 1:2 იოკინენი (29), 1:3 მარა (55), 1:4 ლუნდმარკი (56)

**კალგარი 1:2 ედმონტონი**
*0:1 0:0 1:0 0:0 0:1*
*ბულიტების სერიაში*
0:1 დვორჟაკი (15), 1:1 ნილსონი (52), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: პიზანი

26 ნოემბერი

**რეინჯერსი 3:2 ვაშინგტონი**
*1:0 1:2 0:0 0:0 1:0*
*ბულიტების სერიაში*
1:0 უორდი (18), 2:0 ორტმეიერი (21), 2:1 კლარკი (24), 2:2 უილსი (31), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: მალიკი

**სეზონის** და შესაბამისად ლიგის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ბულიტების სერიის გმირი მარეკ მალიკი გახდა. სანამ „რეინჯერსის“ ჩეხი მცველი შეასრულებდა თავის ბულიტს, ორივე გუნდის 15-15 (!) მოთამაშემ სცადა ბედი მატჩისშემდგომ ლატარიაში, მაგრამ იღბლიანი სწორედ მალიკი აღმოჩნდა. თუმც მარტო იღბალიც არ იყო. მალიკმა, რომელსაც დღემდე გოლი არ გაეტანა ამ სეზონში, დარტყმამდე ისეთი ცრუმოძრაობა შეასრულა, თავად იარომირ იაგრიც კი გააოცა.

**ოტავა 4:2 ბოსტონი**
*1:1 1:0 2:1*
1:0 სპეცა (1), 1:1 ისბისტერი (14), 2:1 სპეცა (21), 3:1 ჰიტლი (36), 4:1 ალფრედსონი (47), 4:2 ბოინტონი (60)

**ალფრედსონი** (1+1) = სპეცა (2+2) = ჰიტლის (1+1) ბრწყინვალე სამეული აგრძელებს საუცხოო ასპარეზობას. აქედან პირველი ორი 39-39 ქულით კვლავ გაუტოლდა ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ იაგრის და პეტერ ფორსბერგის დუეტს, ხოლო ჰიტლი უკვე 21 თამაშია ჩემპიონატის სტარტიდან ყოველ მატჩში აგროვებს ქულებს!

**სან ხოსე 6:7 დეტროიტი**
*1:1 2:3 3:3*
0:1 უილიამსი (3), 1:1 მაკოლი (13), 2:1 შტურმი (26), 2:2 შნაიდერი (28), 2:3 შნაიდერი (29), 3:3 სმიტი (31), 3:4 სამუელსონი (32), 4:4 ტორნტონი (44), 4:5 შნაიდერი (47), 5:5 პრიმო (48), 6:5 გოჩი (53), 6:6 შენაჰანი (56), 6:7 შენაჰანი (57)

**ეს** თამაში წესებშეცვლილი ლიგისთვის მეტად ნიშანდობლივი გახლდათ. ერთის მხრივ, იყო უამრავი გოლი, სახიფათო მომენტები და გახსნილი ჰოკეი. ქომაგებს წამდაუწუმ უხდებოდათ ადგილებიდან წამოხტომა და ემოციების გამოხატვა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თამაშის შემდეგ მოგებული გუნდის ჰოკეისტებიც კი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რადგან მსაჯები ზედმეტად პედანტურად იცავდნენ ახალ წესებს, რასაც მოჰყვა უამრავი ჯარიმა და რიცხვმრავლობაში თამაში.

„სისულელე — აი, ერთადერთი სიტყვა, რომელიც ზუსტად ასახავს ამ ვითარებას. ასეთი რამ არ მინახავს. ეს არის ის, რასაც ახალ ნჰლ-ს ეძახიან“ — თქვა მატჩის შემდეგ მეტიუ შნაიდერმა, მცველმა, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა! მას გუნდის მეკარე კრის ოსგუდიც დაეთანხმა.

„არ არის სწორი, ამდენი მოთამაშე რომ თამაშგარეთ რჩება. საერთოდ არ იყო ხუთი ხუთზე თამაში, მთლიანი რიცხვმრავლობა გამოვიდა. თუ მათ სურთ, რომ ყველა მატჩში 7:6 დასრულდეს, ეს არ არის ის გზა, რომლითაც ამას უნდა მიაღწიონ“ — ასეთი იყო გამარჯვებულთა მოულოდნელი რეაქცია.

**ტორონტო 4:3 მონრეალი**
*2:0 1:2 0:1 1:0*
1:0 ელისონი (6), 2:0 კილგერი (17), 2:1 რიბეირო (28), 2:2 პერეჟოგინი (31), 3:2 ონილი (37), 3:3 პლეკანეცი (56), 4:3 სუნდინი (62)

**შაბათს** მსაჯთა მოქმედებით უკმაყოფილო მარტო დეტროიტელები როდი იყვნენ.

თუმც „მონრეალის“ მეკარე ჟოზე თეოდორი ახალ წესებს არ გაუცხარებია. იგი არბიტრთა არაობიექტურობამ აალელვა.

„ძნელია ითამაშო, როცა მთელი მატჩი ხუთი შვიდზე გიწევს ასპარეზობა. შავებში გამოწყობილი ეს ორი კაცი გამუდმებით ეხმარებოდა „ტორონტოს“, — თქვა თეოდორმა მატჩის შემდეგ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი არაობიექტური (თეოდორის აზრით) ჯარიმის შემდეგ მათ სუნდინმა ოვერტაიმში რიცხვმრავლობაში გამარჯვება მოუტანა „ტორონტოს“.

**ატლანტა 7:4 ფლორიდა**
*3:0 1:4 3:0*
1:0 მელნაბი (14), 2:0 დევრიზი (17), 3:0 სავარი (20), 3:1 გრეტონი (24), 3:2 ოლეში (26, 3:3 კემპბელი (27), 4:3 ჰაველიდი (39), 4:4 ჟელინა (40), 5:4 კოზლოვი (43), 6:4 სავარი (57), 7:4 ბონდრა (58)

**ფილადელფია 2:4 აილენდერსი**
*2:1 0:1 0:2*
0:1 ბლეიკი (1), 1:1 უმბერგერი (2), 2:1 უმბერგერი (17), 22 ბლეიკი (28), 2:3 ლაკოვიჩი (45), 2:4 ბლეიკი (60)

**ნეშვილი 1:3 დალასი**
*0:0 0:2 1:1*
0:1 ლეჰტინენი (26), 0,2 ბარნსი (39), 1:2 ჰარტნელი (44), 1:3 მიეტინენი (47)

**სენტ ლუისი 3:4 კოლუმბუსი**
*2:1 1:1 0:2*
0:1 მალოტრა (1), 1:1 ჯეკმენი (8), 2:1 სილინჯერი (15), 2:2 რიჩარდსონი (34), 3:2 ჯეკმენი (40), 3:3 ბრული (41), 3:4 ჯონსონი (50)

**ფინიქსი 2:1 ვანკუვერი**
*2:0 0:0 0:1*
1:0 ოდონელი (3), 2:0 ნადი (12) 2:1 კარტერი (51)

**ლოს ანჯელესი 3:2 ჩიკაგო**
*1:1 2:1 0:0*
1:0 ფროლოვი (16), 1:1 ბელი (17), 1:2 კოლდერი (21), 2:2 დემიტრა (29), 3:2 რობიტაილი (38)

**ლოსანჯელესელი** რაიან ფლინისთვის პირველი მატჩი ფარმკლუბიდან გამოძახების შემდეგ სავალალოდ დასრულდა. მეტოქეჯი ვანდერმეერი კი დაჯაბნა, მაგრამ თავი ყინულს დაარტყა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა. თუმც საავადმყოფოში მას მხოლოდ ერთ საათს მოუწია ყოფნა, ვინაიდან პირველი დიაგნოზი — ტვინის შერყევა — არ დამტკიცდა.

**სამველ ლარიბიანი**



## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი — 18 დეკემბერი

I ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) |
| ვადიმ მილოვი(შვეიცარია) | 0:1 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |
| სერგეი ერენბურგი (ისრაელი) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| ბადურ ჯობავა (საქართველო) | 0,5:0,5 | ალექსანდრ ბელიავსკი (სლოვენია) |



ლევან ფანცულაია

# ფანცულაიამ მოგებით დაიწყო

**ჩემპიონატი** მოგებით დაიწყო ლევან ფანცულაიამ.

ქართველმა დიდოსტატმა ვადიმ მილოვი პირველ შეხვედრაში შავი ფიგურებით დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გასვლა ალბათ არ გაუჭირდება.



ფანცულაიამ მეტოქე 44-ე სვლაზე დააშამათა

ფანცულაიამ დებიუტში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა და მეტოქეს პატარა დარტყმა მიაყენა. საპასუხოდ მილოვმაც დაქოქა ძალები, ჯარი საომრად მოამზადა და მე-14 სვლაზე ლაზიერით წინ წავიდა. ქართველმა ჯარი მეფის დასაცავად მომართა, შემოჭრილი ლაზიერი უკან გააბუნძულა და ხელმწიფის ფლანგიდან მხედრებით შეუტია. თამაში ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა. ფანცულაიამ მიზანში თეთრი მეფე ამოიღო, გასაქანი არ მისცა და 44-ე სვლაზე დაატყვევა.

ქართველთაგან ყველაზე ადრე თამაში ზვიად იზორიამ დაასრულა, სერგეი ერენბურგს 14 სვლაში დაუზავდა. ყაიმი ითამაშა ბადურ ჯობავამაც, თუმც თეთრი ფიგურებით.

**ლაშა გეგეჭკორი**



# მეფე რიჩარდი მოკვდა



**ურთულესი** ოპერაციიდან შვიდი თვის შემდეგ გარდაიცვალა დიდი ბრიტანელი ავტომრბოლი რიჩარდ ბარნსი. იგი იყო ერთადერთი ინგლისელი, ვინც რალიში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ეს მან 2001 წელს „სუბარუთი“ შეძლო.

„მეფე რიჩარდსმა“ ექვსწლიანი სარალო კარიერის უმეტესი ნაწილი ფრანგულ „პეჟოში“ გაატარა, მერე იაპონურ „სუბარუს“ ღირსებას იცავდა. გამოვიდა 104 რბოლაში, რომელთაგან ათი მოიგო. 1999 და 2000 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

უმძიმესმა დაავადებამ პირველად ორი წლის წინათ იჩინა თავი, როცა ბარნსმა საჭესთან გრძნობა დაკარგა. ექიმებმა ასტროციტომა — თავის ტვინის კიბოს ერთ-ერთი ფორმა დაუდგინეს. კარგა ხანს პაციენტს ქიმიოთერაპიითაც მკურნალობდნენ, თუმც ამას შედეგი არ მოჰყოლია. ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა და ქირურგიული ჩარევაც აუცილებელი გახდა.

რიჩარდმა თავიდანვე იცოდა, რომ პრაქტიკულად არ ჰქონდა გამოჯანმრთელების შანსი, თუმც შეუპოვრად ებრძოდა დაავადებას და სულიერ სიმხნევეს არ კარგავდა. წლეულს აგვისტოში ისტორიული სარალო მანქანების ალლუმსაც დაესწრო.

მაგრამ... რამდენიმე დღის წინ კომაში ჩავარდა...

რიჩარდ ბარნსი 34 წლის იყო.

**გია ახალაძე**

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 16 | კარდიფი-იფსვიჩი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:15 | 73 | კოტბუსი-ფიურტი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 108 | ლინცერი-ალტახი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 22:00 | 109 | აუსტრია(ლ)-გრატკორნი | 1.50 | 3.50 | 5.90 | 1.04 | 1.19 | 2.19 |
| 22:00 | 110 | შვანენშტადტი-კაფენბერგი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 22:00 | 111 | ლეობენი-კერნტენი | 3.40 | 3.00 | 2.00 | 1.59 | 1.25 | 1.20 |
| 22:00 | 112 | აუსტრია(მ)-კუფშტაინი | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 140 | ვერონა-კატანია | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 152 | სან მარინო-ტერამო | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 205 | გრენობლი-შატორუ | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 267 | ჟილ ვისენტე-პორტუ | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 457 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |
| 23:00 | 45ზ | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 0:11.50 | 4.10 | 3.30 | | | |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:40 | 325 | პლზენი-ბანიკი | 2.40 | 3.00 | 2.55 | 1.33 | 1.23 | 1.37 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 416 | დონკასტერი-ასტონ ვილა | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 23:45 | 417 | მილუოლი-ბირმინგემი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 23:45 | 422 | არსენალი-რედინგი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 418 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 419 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 23:45 | 420 | ბოლტონი-ლესტერი | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 23:45 | 421 | უიგანი-ნიუკასლი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 23:45 | 423 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 444 | მილანი-ბრეშა | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 445 | ატალანტა-უდინეზე | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 446 | პარმა-ინტერი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 447 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 543 | ბრიუნესი-ტიმრე | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 22:00 | 544 | იურგორდენი-მორა | 2.00 | 4.10 | 2.45 | 1.34 | 1.10 | 1.53 |
| 22:00 | 545 | სიოდერტელიე-ჰვ 71 | 2.90 | 4.20 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.23 |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 546 | ლექსანდი-ფერიესტადი | 2.90 | 4.20 | 1.75 | 1.71 | 1.09 | 1.23 |
| 22:00 | 548 | ლულეო-მოდო | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 13:00 | 652 | ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი | 3.30 | 4.50 | 1.50 | 1.90 | 1.03 | 1.12 |
| 13:00 | 653 | სიბირი-სპარტაკი | 1.90 | 4.20 | 2.45 | 1.30 | 1.07 | 1.54 |
| 13:00 | 654 | მაგნიტოგორსკი-აკ ბარსი | 1.55 | 4.30 | 3.40 | 1.13 | 1.06 | 1.89 |
| 13:00 | 655 | ს.იულაევი-ცსკა | 2.20 | 4.10 | 2.00 | 1.43 | 1.04 | 1.34 |
| 13:00 | 656 | ლადა-მოლოტი | 1.25 | 4.50 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.47 |
| 13:00 | 657 | ვიტიაზი-სევერსტალი | 2.70 | 4.40 | 1.75 | 1.67 | 1.06 | 1.25 |
| 13:00 | 658 | დინამო-ნეფტეხიმიკი | 1.25 | 4.60 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.50 |
| 13:00 | 659 | მვდ-აკ | 2.00 | 4.00 | 2.20 | 1.33 | 1.04 | 1.41 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 459 | უოკინგი-ჩელტენემი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 460 | ჰალიფაქსი-სკანთორპი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |

## გერმანია

ბუნდესლიგა. XIV ტური

**შალკე 2:1 ვერდერი**

1:0 კურანი (2), 1:1 ვალდესი (55), 2:1 კურანი (64)

შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, ფ. ერნსტი, ლინკოლნი (ბაირამოვიჩი 90), გ. ვარელა (ასამოა 58), ქობიაშვილი, კურანი (სანდი 88)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, კ. შულცი, ვრანიეში (პუნტი 70), ფ. ბაუმანი, ფრინგსი, მიკუ, ბოროვსკი, ნ. ვალდესი

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ერნსტი, როდრიგესი, ბოროვსკი, ფრინგსი, ბაუმანი, ვალდესი, ფრინგსი

გაძევება: ფრინგსი (81)

მსაჯი: ფანდელი

61 524 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 0:0 არმინია**

ვოლფსბურგი: იენჩი, შარპეი, ფრანცი, კიროგა, ვან დერ ჰიდენი, ტიამი (ჰანკე 69), კარჰანი (ლამპრეხტი 46), ცქიტიშვილი, მენსეგეში (აბუდა 82), მარლე, კლიმოვიჩი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

არმინია: ჰაინი, კორყინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, შულერი, ფინკი, დამაიერი, ვატა, კუნცელი (პინტო 32), ზუმა, ბოაკიე (დიალოვიჩი 59)

მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი

გაფრთხილება: ტიამი, ვან დერ ჰიდენი, ფრანცი, აბუდა, მარლე, ბორგესი

მსაჯი: გაგელმანი

13 996 მაყურებელი

**ბაიერნი 2:1 მაინცი**

1:0 პიზარო (28), 1:1 აუერი (33), 2:1 პიზარო (55)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ (ლამი 46), დემიკელისი (ჰარგრივსი 46), დაისლერი, შვაინსტაიგერი, ქარიმი (იერემისი 78), მაკაი, კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

მაინცი: ვახე, დემირტასი (რომულო 84), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, რუმანი (გაისლერი 68), პეკოვიჩი (ფ. გერბერი 68), და სილვა, ტიურკი, მ. ზიდანი, აუერი

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: დაისლერი, ისმაელი, ლუსიო, აუერი, პეკოვიჩი

მსაჯი: კინჰოფერი

66 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 0:1 ჰამბურგი**

0:1 იაროლიმი (82)

ლევერკუზენი: ბუტი, კ. ფრიცი (ბაბიჩი 85), ჟუანი, როკე ჟუნიორი, კასტრო (ლაზოვიჩი 85), როლფსი, ფრაიერი, კრჟინოვეკი (ატირსონი 58), ბარნეტა, ვორონინი, ბერბატოვი

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

ჰამბურგი: კირშტაინი, მაჰდავიკია, დემელი, ვან ბუიტენი, ატუბა, ბაინლიხი, იაროლიმი, ტროხოვსკი (კლინგბილი 85), ვან დერ ვაარტი, ლაუტი (ციგლერი 65), ბარბარესი

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: ჟუანი, ბარნეტა, როკე ჟუნიორი, ბარბარესი, ვან დერ ვაარტი

მსაჯი: შტარკი

22 500 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 დორტმუნდი**

0:1 ოდონკორი (13), 0:2 საჰინი (42), 1:2 კესლინგი (88)

ნიურნბერგი: რ. შეფერი, თ. პაულუსი, ნიკლი, კანტალუპი, ლ. მიულერი, მნარი, ბანოვიჩი, კესლინგი, ვიტეკი (ს. მიულერი 46), შროტი, დაუნი (საენკო 64)

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კრინგე, ვიორნსი, კელი, დედე (ფ. დეგენი 46), კრუშკა, როსიცკი, ნ. საჰინი, ოდონკორი, შმოლარეკი, ბაკლი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: ლ. მიულერი, ოდონკორი

მსაჯი: მერკი

25 928 მაყურებელი

**ჰანოვერი 5:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0, 2:0 ტარნატი (13, 26), 3:0 ბრდარიჩი (62), 3:1 სანოგო (69), 4:1 ბრდარიჩი (73), 5:1 ჰაშემიანი (83)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ბალიტჩი, ლალა, დაბროვსკი (იანკოვი 67), დელურა (შტაინერი 63), ჰაშემიანი, ბრდარიჩი (შრიოტერი 78)

მწვრთნელი: პეტერ ნოირუერი

კაიზერსლაუტერნი: მახო, ლემბი (ბელინგჰაუზენი 33), პლეტჩი, შკელა, ჰერჩი, თ. როიტერი, ენგელარდტი, ჰალილ ალტინტოპი, ზანდი (თ. რიდლი 82), მიკიჩი (ზაიცი 60), სანოგო

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: ჰერჩი

მსაჯი: ბრიხი

31 443 მაყურებელი

**ჰერტა 2:2 მიონხენგლადბახი**

0:1 კაე (7), 0:2 ფრიდრიხი (12ს.კ.), 1:2 ბაშთურქი (68), 2:2 კოვაჩი (76)

ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი (მადლუნგი 87), კაირო, ბოატენგი, მარსელინიო, ბაშთურქი, რაფაელი (ნოინდორფი 61), პანტელიჩი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ბოგელუნდი (ფუკალი 89), ზე ანტონიო, შტრასერი, იანსენი, ტისი, ელ ფაკირი (ბროიხი 80), კლუგე, პოლანსკი, კაე, ნოივილი (სვერკოში 89)

მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი

გაფრთხილება: პანტელიჩი, კოვაჩი, ზე ანტონიო, კლუგე

მსაჯი: პერლი

35 000 მაყურებელი

**აინტრახტი 1:1 შტუტგარტი**

1:0 ამანატიდისი (19), 1:1 ლიუბოია (63)

აინტრახტი: ნიკოლოვი, რემერი (დურიჩა 76), კრისი, ვასოსკი, პროისი (ჩიმენი 46), ჯონსი, ჰუგელი, შპიხერი, ა. მაიერი, ამანატიდისი (ვან ლენტი 82), კოპადო

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, შტრანცლი (გომეში 56), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, მაისნერი (კარევიჩი 46), სოლდო, ტიფერტი, ჰიცლშპერგერი, ტომასონი, ლიუბოია

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

გაფრთხილება: ჯონსი, მაისნერი, სოლდო

მსაჯი: რაფატი

41 500 მაყურებელი

**დუისბურგი — კიოლნი** გადაიდო

# არ დაიზარო
## პიზაროს წყვილად გააქვს



AFP ფრანკფურტიდან

აინტრახტი — შტუტგარტი. მირკო კარევიჩის (მარცხნივ) „შტუტგარტმა" კრისის „აინტრახტს" ვერაფერი დააკლო

**ზედიზედ** მეორე ტურია, მიუნხენის „ბაიერნი" კლაუდიო პიზაროს გოლებით იგებს. პერუელმა ფორვარდმა ჯერ ბილეფილდის „არმინიასთან", ახლა კი „მაინცთან" დუბლი შეასრულა.

„ეს იყო რთული მატჩი — თქვა ფელიქს მაგათმა — მომენტები რომ გამოგვეყენებინა, ამდენს არ ვინერვიულებდით".

მომენტები კი მართლაც ოხრად ჰქონდა „ბაიერნს", მათ შორის ორი როი მაკაიმ ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, ჰოლანდიელმა პიზარო საგოლე პასით დაასაჩუქრა. „მაინცმა" მალევე გაათანაბრა, რადგან ბენჟამინ აუერმა მასპინძელთა დაცვაში გაისეირნა და ოლივერ კანს გაუტანა.

მეორე გოლი პიზარომ შესვენების შემდეგ, ბასტიან შვაინსტაიგერის პასით შეაგდო და „ბაიერნმაც" შვიდიდან მეშვიდე საშინაო შეხვედრა მოიგო.

ბრემენის „ვერდერს" მიროსლავ კლოზე-ივან კლასნიჩის დუეტი აშკარად დააკლდა. „ხუმარებმა" კევინ კურანის დუბლით მოიგეს, რომელიც ბოლო რამდენიმე მატჩში მისავათებული იყო და ახლა გამოცოცხლდა. ლევან კობიაშვილმა ამჯერად ვერ გაიტანა, მაგრამ მეორე გოლში წილი დაიდო. ქართველის დარტყმული ბურთი მეკარე რაინკემ მოიგერია, მაგრამ კურანიმ საგოლედ დაამატა. ამ მოგებით „შალკემ" მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს.

„ჰამბურგმა" ლევერკუზენში, გვიანი გოლით იმარჯვა და „ბაიერნთან" ექვსქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. დავიდ იაროლიმმა შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე იხეირა: მას შემდეგ, რაც საჯარიმოში ბურთი ტროხოვსკის მოხვდა და ჩეხს მიუგორდა.

„კაიზერსლაუტერნის" მენეჯერი ოლაფ მარშალი ალბათ თავბედს იწყევლის, რადგან გასულ კვირაში მწვრთნელად ვოლფგანგ ვოლფი დანიშნა. ვოლფის ხელქვეითი „ლაუტერნი" პირველივე მატჩში „ჰანოვერთან" განადგურდა. ჰანოვერელები ლაღად დასეირნობდნენ მეტოქის საჯარიმოში და ხუთი გოლი გაიტანეს. ბუნდესლიგაში უცუდესი დაცვის მქონე „კაიზერსლაუტერნს" ახლა უკვე 38 გოლი აქვს გაშვებული. პირველ ტაიმში მიხაელ ტარნატმა, მეორეში კი თომას ბრდარიჩმა დუბლები შეასრულეს. სტუმართა რბევა კი ირანელმა ვაჰიდ ჰაშემიანმა დაასრულა.

დორტმუნდის „ბორუსიამ" პირველად გაიმარჯვა სტუმრად. ოდინკორმა ანგარიში გახსნა, 17 წლის თურქმა, ნური საჰინმა კი ტაიმის მიწურულს მეორე გაიტანა. „ნიურნბერგმა" კისლინგის წყალობით ერთის გაქვითვა მოახერხა.

„ვოლფსბურგი" „არმინიას" დაუზავდა და, როგორც ჩანს, „მგლების" საქმე კარგად ვერაა, რადგან უკვე მეორე საშინაო შეხვედრა ვერ მოიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 14 | 12 | 1 | 1 | 31:10 | 21 | 37 | 7 | 7 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:8 | 5 | 16 |
| 2 ჰამბურგი | 14 | 9 | 4 | 1 | 22:6 | 16 | 31 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 7 | 14 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 17 |
| 3 ვერდერი | 14 | 9 | 2 | 3 | 39:19 | 20 | 29 | 7 | 6 | 1 | 0 | 27:10 | 17 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 10 |
| 4 შალკე | 14 | 6 | 7 | 1 | 18:10 | 8 | 25 | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 7 | 15 | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 1 | 10 |
| 5 ჰერტა | 14 | 6 | 4 | 4 | 23:20 | 3 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:7 | 10 | 16 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:13 | -7 | 6 |
| 6 დორტმუნდი | 14 | 5 | 6 | 3 | 22:18 | 4 | 21 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 14 | 7 | 1 | 4 | 2 | 12:13 | -1 | 7 |
| 7 გლადბახი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:16 | 3 | 21 | 7 | 4 | 3 | 0 | 11:5 | 6 | 15 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 6 |
| 8 შტუტგარტი | 14 | 3 | 9 | 2 | 18:17 | 1 | 18 | 7 | 1 | 4 | 2 | 11:12 | -1 | 7 | 7 | 2 | 5 | 0 | 7:5 | 2 | 11 |
| 9 ვოლფსბურგი | 14 | 4 | 6 | 4 | 14:20 | -6 | 18 | 7 | 2 | 5 | 0 | 7:5 | 2 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:15 | -8 | 7 |
| 10 ლევერკუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 22:23 | -1 | 17 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:11 | -2 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 13:12 | 1 | 8 |
| 11 ჰანოვერი | 14 | 3 | 7 | 4 | 23:22 | 1 | 16 | 7 | 2 | 4 | 1 | 14:10 | 4 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 6 |
| 12 არმინია | 14 | 4 | 4 | 6 | 17:21 | -4 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:7 | 3 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | -7 | 6 |
| 13 აინტრახტი | 14 | 4 | 3 | 7 | 17:22 | -5 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 |
| 14 მაინცი | 14 | 3 | 3 | 8 | 18:23 | -5 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | -5 | 4 |
| 15 კიოლნი | 13 | 3 | 2 | 8 | 19:28 | -9 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 10:15 | -5 | 4 |
| 16 ნიურნბერგი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:28 | -13 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:17 | -10 | 4 |
| 17 დუისბურგი | 13 | 2 | 3 | 8 | 12:26 | -14 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 | 7 | 0 | 1 | 6 | 7:20 | -13 | 1 |
| 18 ლაუტერნი | 14 | 2 | 3 | 9 | 18:38 | -20 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 12:21 | -9 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:17 | -11 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 14 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 11 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 10 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 8 |
| ბრდარიჩი (ჰანოვერი) | 8 |

### XV ტური

3 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ვერდერი | დუისბურგი |
| არმინია | შალკე |
| მაინცი | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | ბაიერნი |
| ლაუტერნი | აინტრახტი |
| დორტმუნდი | ჰანოვერი |
| გლადბახი | ნიურნბერგი |
| ლევერკუზენი | ჰერტა |
| ჰამბურგი | კიოლნი |

## მეორე ბუნდესლიგა

XIV ტური

**ბურგჰაუზენი 0:4 ბოხუმი**

0:1 მაიხელბეკი (6), 0:2, 0:3 ვან ჰუტი (23, 40), 0:4 ედუ (61)

**აუე 0:2 ბრაუნშვაიგი**

0:1 ზიგერტი (63), 0:2 ფუხსი (85)

**ალემანია 2:1 პადერბორნი**

1:0 პინტუ (11), 1:1 რ. მიულერი (48), 2:1 კლიცპერა (86)

**კარლსრუე 1:2 მიუნხენი**

0:1 შაო (17), 0:2 კოლომაჟნიკი (32), 1:2 დანდი (47)

**უნტერჰახინგი 2:0 ოფენბახი**

1:0 ბ. ნდიაიე (28), 2:0 აჯიჩი (90)

**ზიგენი — ფრაიბურგი** გადაიდო

**ზაარბრიუკენი — დინამო** გადაიდო

**ალენი — ჰანზა** გადაიდო

**კოტბუსი — ფიურტი**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 14 | 8 | 3 | 3 | 23:13 | 27 |
| ბოხუმი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:13 | 26 |
| ალემანია | 14 | 8 | 1 | 5 | 27:18 | 25 |
| კოტბუსი | 13 | 7 | 3 | 3 | 24:16 | 24 |
| ფრაიბურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 20:14 | 24 |
| კარლსრუე | 14 | 7 | 3 | 4 | 19:15 | 24 |
| პადერბორნი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:14 | 23 |
| ბრაუნშვაიგი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:14 | 21 |
| ფიურტი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:20 | 21 |
| აუე | 14 | 4 | 6 | 4 | 13:12 | 18 |
| ჰანზა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:16 | 18 |
| უნტერჰახინგი | 14 | 5 | 2 | 7 | 21:22 | 17 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:23 | 17 |
| ზიგენი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:18 | 15 |
| ოფენბახი | 14 | 4 | 2 | 8 | 14:28 | 14 |
| დინამო | 13 | 3 | 2 | 8 | 17:24 | 11 |
| ალენი | 13 | 1 | 5 | 7 | 13:25 | 8 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 1 | 2 | 10 | 7:32 | 5 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XIX ტური

ესენი — ერფურტი 5:0; კილი — დიუსელდორფი 3:3; ჰამბურგი (მ) — ზანკტ პაული 0:4; კარლ ცაისი — ობერჰაუზენი 4:1; ქემნიცი — ვუპერტალი 0:1; კიოლნი (მ) — ვერდერი (მ) 1:0. ოსნაბრიუკი — ლიუბეკი და მიუნსტერი — ლევერკუზენი (მ) ხვალ გაიმართება, ბრაუნშვაიგი — ემდენი 6 დეკემბერს

## სამხრეთ რეგიონალლიგა

XVII ტური

შტუტგარტი (მ) — ელვერსბერგი 3:0; ტრირი — ბაიერნი (მ) 0:1; მიუნხენი (მ) — კობლენცი 0:1; ვეჰენი — აალენი 3:2; რეგენსბურგი — პფულენდორფი 1:0; კარლსრუე (მ) — ჰოფენჰაიმი 1:0; ბაიროითი — დარმშტადტი 1:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — კიკერსი 4:2. ეშბორნი — აუგსბურგი გადაიდო

# ჯერ დააბით, მერე აუშვით



AFP მილანიდან

მილანი — ლეჩე. კლარენს ზეედორფმა გატანა ეფექტური დარტყმით სცადა, მაგრამ...

## იტალია

### სერია A. XIII ტური

**იუვენტუსი 3:1 ტრევიზო**

0:1 პარავიჩინი (25), 1:1 მუტუ (37), 2:1 ტრეზეგე (43), 3:1 დელ პიერო (82)
იუვენტუსი: აბიატი, ძამბროტა, რ. კოვაჩი, ფ. კანავარო, კიელინი, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, მუტუ (ნედვედი 75), იბრაჰიმოვიჩი (ზალაიეტა 84), ტრეზეგე (დელ პიერო 69)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ტრევიზო: ძანკოპე, დელაფიორე, კოტაფავა, გუსტავო, გალეოტო (ჯულიატო 46), ე. ფილიპინი, პარავიჩინი (დე მარტინო 65), გალო, დოსენა, პინგა (ფავა პასარო 65), რეგინალდო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
მსაჯი: რაკალბუტო
30 000 მაყურებელი

**მილანი 2:1 ლეჩე**

1:0 პირლო (3), 1:1 კონანი (66), 2:1 ინძაგი (90)
მილანი: დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, სერჟინიო (კოსტაკურტა 63), გატუზო (იანკულოვსკი 79), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო, ჯილარდინო (ფ. ინძაგი 73)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, კამორანი (ჯორჯინო 83), ლედესმა, პინარდი (მარიანინი 76), კონანი, ვუჩინიჩი, ხ. ვალდესი (კოცოლინო 73)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: ნესტა, დიამუტენე, კონანი, კამორანი
მსაჯი: ტომბოლინი
45 000 მაყურებელი

**მესინა 1:2 ინტერი**

0:1 რეკობა (7), 0:2 კამბიასო (59), 1:2 დი ნაპოლი (71)
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, რეზაეი, კრისტანტე, არონიკა, კ. კოპოლა (ანაგიასავა 78), დონატი, სკული, დაგოსტინო, ილიევი (დი ნაპოლი 56), ძამპანა
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, ვ. სამუელი, ფავალი, ფიგუ, ხ. ვერონი, კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, ადრიანო, რეკობა (ო. მარტინსი 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სკული, ფავალი, დაგოსტინო
მსაჯი: ტრეფოლონი
34 000 მაყურებელი

**ემპოლი 2:3 ლაციო**

0:1 დაბო (28), 1:1 ბონეტო (55), 2:1 ტავანო (59პ), 2:2 ტარე (77), 2:3 ლივერანი (80)
ემპოლი: ბერტი, რაჯი (პოცი 46), კოდა, პრატალი, ბონეტო, ბუშე, ფიჩინი, ალმირონი, ტავანო (დ. მორო 72), ვანუკი, რიგანო
მწვრთნელი: მარიო სომა
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი, დაბო, ლივერანი, კ. მანფრედინი (პანდევი 63), დი კანიო (ტარე 67), როკი (სეზარი 76)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ბეჰრამი, ლივერანი, ფიჩინი, სეზარი, ფიჩინი
გაძევება: ფიჩინი (80)
მსაჯი: ტალიავენტო
8 000 მაყურებელი

**პარმა 1:2 უდინეზე**

0:1, 0:2 ბარეტო (45, 48), 1:2 კორადი (89)
პარმა: ლუპატელი, კოლი, კარდონე, კონტინი, პასკუალე, მარკიონი, ბოლანო (ჩიგარინი 64), სიმპლისიო, ბრეშიანო (სავი 46), მორფეო (დედიჩი 77), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, დ. ძენონი, მაური, ობოდო, მუნტარი (ვიდიგალი 35), კანდელა (ტისონე 68), იაკინტა, ბარეტო (დი მიკელე 77)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ბოლანო, პასკუალე
მსაჯი: ბერგონცი
12 000 მაყურებელი

**კალიარი 2:0 სამპდორია**

1:0, 2:0 სუაცო (21, 52)
კალიარი: კამპანოლო, ბეგა, ბიზერა, კანინი, აგოსტინი, აბეიხონი, ბუდელი, კონტიკიო, მ. ესპოზიტო (კოსუ 78), სუაცო, ლანჯელა (კაპონე 90)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, სალა, მ. პიზანო, დიანა, ვოლპი, დალა ბონა, ტონეტო (გასბარონი 67), ძაული (ფლაკი 46), ბონაცოლი (ბორიელო 59)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კასტელინი, ბიზერა, ბეგა, დალა ბონა, სალა
მსაჯი: დონდარინი
11 000 მაყურებელი

**ასკოლი 1:1 პალერმო**

0:1 ბონანი (35), 1:1 ფერანტე (52)
ასკოლი: ფ. კოპოლა, კომოტო, დომიცი, კორალო, დელ გროსო, ფოჯა (დელა მორტე 70), გუანა, პაროლა, ფინი, ფერანტე (კალიარელა 70), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბარძალი, რინაუდო, გროსო, მ. გონსალესი, კორინი, ბარონე, ბონანი (სანტანა 61), ა. მაკინვა (ბრიენცა 73), კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: რინაუდო, გონსალესი, ფინი, გროსო, ბიელანოვიჩი
მსაჯი: მაცოლენი
12 500 მაყურებელი

**ლივორნო 0:0 კიევო**

ლივორნო: ამელია, გრანდონი, ხ. ვარგასი, გალანტე, სეზარ პრაჯესი, მორონე, პასონი, ლ. კოლუჩი (დე აშენტისი 76), კოკო, ლაზეტიჩი (ი. ბაკაიოკო 80), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
კიევო: სკუიცი, მალაგო, მანდელი, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (სკურტო 87), სამარკო, ჯუნტი, დ. ფრანჩესკინი, ამაური (ფ. კოსატო 90), პელისიერი (ობინია 61)
მწვრთნელი: მარკო პილონი
გაფრთხილება: სამარკო, დანა, ლუკარელი, პასონი, მალაგო
მსაჯი: ფარინა
9 000 მაყურებელი

**სიენა 0:0 რეჯინა**

სიენა: მირანტე, გასტალდელო, ლეგროტალიე, პორტანოვა, დ. ალბერტო, დავერსა, ვერგასოლა, ფალზინი, ფოლიო, ბოგდანი (ნანი 86), კიეზა (მარაცინა 58)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
რეჯინა: პავარინი, ი. ფრანჩესკინი, დე როზა, ლანძარო, მესტო, ტედესკო, მოდესტო, ა. ლუკარელი, ვიჯანი (მისიროლი 62), კოცა (ჩერავოლო 89), ნ. ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: მესტო, ვიჯანი, ალბერტო, ბოგდანი
გაძევება: ფალზინი (29)
მსაჯი: პანტანა
7 000 მაყურებელი

**რომა — ფიორენტინა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-15 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**კარლო ანჩელოტიმ** და ფილიპო ინძაგიმ ერთხმად აღიარეს, რომ ვეტერანი ფორვარდის მიერ ბოლო წამს გატანილი გამარჯვების გოლი თავიდან მისი სათადარიგოთა სკამზე დატოვებით იყო განპირობებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინძაგი სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვედრამ დამუხტა, თუ გნებავთ, გააბრაზა და სწორედ ამან შთაბერა ის ძალა და დაჟინება, რომელმაც „ლეჩესთან" შეხვედრაში მსაჯის წამატებულ წუთებზე საგოლე მობილიზაცია შეაძლებინა — „პიპო" ანჩელოტიმ ალბერტო ჯილარდინოს ნაცვლად 73-ე წუთზე შეიყვანა სათამაშოდ.

„თამაში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და გამარჯვების გოლიც უფრო ადრე უნდა გაგვეტანა, მაგრამ ფეხბურთში გამარჯვება ხშირად ნერვიულობითა და წვალებით მოდის და ეს უფრო გემრიელია. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გოლი გავიტანეთ, მუდმივი ცეცხლის გახსნა კი უბრალოდ, შეუძლებელია" — განაცხადა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ.

აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ანუ გამოჯანმრთელების შემდეგ, ინძაგი სწორედ ხანმოკლე ჩართვებისას არის ძალიან ეფექტური და, როგორც ჩანს, მწვრთნელმაც სწორედ ამაზე გააკეთა გათვლა.

ამ შეხვედრის დასაწყისში ანგარიში ანდრეა პირლომ საუცხოოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა, ხოლო ლეჩელთაგან ალექს კონანმა გაათანაბრა.

„პირლო დიდებულად ურტყამს ჯარიმებს — დასძინა ანჩელოტიმ — წლეულს მან უკვე მესამედ გაიტანა ჯარიმიდან. მერედა, მისი სტილი სრულიად განსაკუთრებული და უნიკალურია".

ძალიან ამაღელვებელი გამოდგა მატჩის ბოლო წუთები, როდესაც ანჩელოტიმ ჯენარო გატუზოს მაგივრად მარეკ იანკულოვსკი შეიყვანა მოედანზე. ჩეხმა „შავ-წითლებს" შეტევის პოტენციალი გაუძლიერა, მაგრამ გოლი კინაღამ ლეჩელმა კრისტიან ლედესმამ გაიტანა, როდესაც ძელს გაარტყა ბურთი. ამ მომენტიდან 60 წამში ზემოხსენებულმა იანკულოვსკიმ მოედნის გადაღმა გაიქორა იგივე — 20 მეტრიდან დაუმიზნა სტუმრების კარის ძელს. ამის შემდეგ ინძაგის პასით ალესანდრო ნესტამ დაარტყა სახიფათოდ, ოღონდ ბურთი მეკარე სიჩინიანომ მოიგერია, ბოლოს კი, როგორც იცით, თამაში თავად ინძაგის გოლით დასრულდა.

ლიდერმა „იუვენტუსმა" კი „ტრევიზოსთან" 0:1 შემოატრიალა და 3:1-ად აქცია. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ ტურინელთა და ტრევიზოელთა პირველი, ისტორიული შეხვედრა. ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც გალეოტომ პარავიჩინის უკან გაუჭრა ბურთი და მანაც სწორი დარტყმით მეკარე კრისტიან აბიატის აჯობა, მაგრამ ცხრა წუთში ტურინელებმა თავიანთი პირველივე მომენტი გოლად აქციეს — ეს ახლოდან ადრიან მუტუმ შეძლო. 43-ე წუთზე კი „ბებერმა ქალბატონმა" უკვე საბოლოოდ შემოატრიალა თამაში: კიელინის დაბალი პასი დავიდ ტრეზეგემ ისეთ ვითარებაში იხელთა, რომ მისთვის გოლის გატანა საბავშვო თამაშილა ჰგავდა. და ბოლოს, იბრაჰიმოვიჩის ასევე დაბალი პასი ალესანდრო დელ პიერომ დააგვირგვინა გოლით.

ცხრილის ზედა, საამყო ადგილებში მყოფი „ლივორნოსა" „კიევოს" მატჩი 0:0 დასრულდა, ოღონდ, ლივორნოელთა სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მათ ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს.

და, რა თქმა უნდა, „ინტერის" შესახებ: მილანელმა გოლიათებმა მწვრთნელის, რობერტო მანჩინის 41-ე დაბადების დღეზე სიცილიაზე „მესინას" 2:1 მოუგეს.

**პაპუნა ბედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 13 | 12 | 0 | 1 | 29:7 | 22 | 36 | 7 | 7 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 21 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 15 |
| 2 მილანი | 13 | 10 | 1 | 2 | 29:13 | 16 | 31 | 7 | 7 | 0 | 0 | 19:6 | 13 | 21 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 |
| 3 ფიორენტინა | 12 | 9 | 1 | 2 | 27:13 | 14 | 28 | 6 | 6 | 0 | 0 | 18:8 | 10 | 18 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 10 |
| 4 ინტერი | 13 | 8 | 2 | 3 | 24:11 | 13 | 26 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:3 | 13 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 11 |
| 5 კიევო | 13 | 5 | 6 | 2 | 16:12 | 4 | 21 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 9 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 12 |
| 6 სამპდორია | 13 | 6 | 2 | 5 | 23:19 | 4 | 20 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:10 | 3 | 11 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:9 | 1 | 9 |
| 7 უდინეზე | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | -2 | 20 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:2 | 3 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:15 | -5 | 10 |
| 8 ლაციო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:17 | -1 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 |
| 9 ლივორნო | 13 | 5 | 4 | 4 | 11:15 | -4 | 19 | 7 | 4 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 14 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:12 | -8 | 5 |
| 10 რომა | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 4 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:11 | -1 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:3 | 5 | 11 |
| 11 პალერმო | 13 | 4 | 6 | 3 | 20:19 | 1 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 11 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | -2 | 7 |
| 12 ემპოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:20 | -3 | 17 | 7 | 4 | 0 | 3 | 11:11 | 0 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 5 |
| 13 სიენა | 13 | 4 | 3 | 6 | 18:23 | -5 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | -2 | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:12 | -3 | 8 |
| 14 ასკოლი | 13 | 2 | 7 | 4 | 13:16 | -3 | 13 | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 1 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 15 რეჯინა | 13 | 4 | 1 | 8 | 13:19 | -6 | 13 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 12 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 |
| 16 პარმა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:21 | -8 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | -9 | 3 |
| 17 მესინა | 13 | 1 | 5 | 7 | 11:20 | -9 | 8 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | -6 | 3 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 |
| 18 კალიარი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:20 | -10 | 8 | 7 | 1 | 5 | 1 | 5:5 | 0 | 8 | 6 | 0 | 0 | 6 | 5:15 | -10 | 0 |
| 19 ტრევიზო | 13 | 1 | 4 | 8 | 8:21 | -13 | 7 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | -7 | 1 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:11 | -6 | 6 |
| 20 ლეჩე | 13 | 2 | 1 | 10 | 9:23 | -14 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | -1 | 7 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:15 | -13 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 15 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 10 |
| ტავანო (ემპოლი) | 9 |
| კიეზა (სიენა) | 8 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 8 |
| ჯილარდინო (მილანი) | 8 |

**XIV ტური**

4 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| კიევო | : | მილანი |
| ფიორენტინა | : | იუვენტუსი |
| ინტერი | : | ასკოლი |
| ლაციო | : | სიენა |
| ლეჩე | : | რომა |
| პალერმო | : | კალიარი |
| რეჯინა | : | პარმა |
| სამპდორია | : | ემპოლი |
| ტრევიზო | : | მესინა |
| უდინეზე | : | ლივორნო |

### სერია B

**XVII ტური**

**მოდენა 2:2 ჩეზენა**

0:1 სალვეტი (18), 1:1 ბუკი (49პ), 1:2 ბერნაჩი (51), 2:2 ბუკი (68პ)

**ალბინოლეფე 2:2 ბოლონია**

0:1 ვინიაროლი (16), 1:1 ტესტინი (19), 2:1 ბონაცი (74), 2:2 ბელუჩი (90)

**აველინო 1:0 ტორინო**

1:0 დანილევიჩუსი (1)

**კატანძარო 1:1 პიაჩენცა**

1:0 მიკელი (44), 1:1 სტამილა (65)

**პესკარა 1:0 ბარი**

1:0 მატეინი (84)

**რიმინი 2:0 არეცო**

1:0, 2:0 რიკიუტი (56, 90)

**ტერნანა 1:1 მანტოვა**

0:1 სომეზე (28), 1:1 ფრიკი (53პ)

**ტრიესტინა 2:0 კროტონე**

1:0 გოდეაში (60), 2:0 ვენანციო (90)

**ბრეშა 1:0 ატალანტა**

1:0 პოსანცინი (29)

**კრემონეზე 1:3 ვიჩენცა**

0:1 შვოხი (30პ), 1:1 კარპარელი (32), 1:2, 1:3 ხ. გონსალესი (65, 74)

**ვერონა — კატანია**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 17 | 10 | 7 | 0 | 22:8 | 37 |
| ტორინო | 17 | 9 | 5 | 3 | 17:9 | 32 |
| ატალანტა | 17 | 10 | 1 | 6 | 24:18 | 31 |
| ჩეზენა | 17 | 8 | 4 | 5 | 25:18 | 28 |
| ბრეშა | 17 | 7 | 7 | 3 | 23:16 | 28 |
| მოდენა | 17 | 6 | 9 | 2 | 21:13 | 27 |
| კატანია | 16 | 7 | 6 | 3 | 22:17 | 27 |
| ვერონა | 16 | 6 | 7 | 3 | 17:10 | 25 |
| პიაჩენცა | 17 | 6 | 7 | 4 | 24:19 | 25 |
| არეცო | 17 | 6 | 7 | 4 | 19:14 | 25 |
| პესკარა | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 25 |
| ტრიესტინა | 17 | 7 | 4 | 6 | 16:17 | 25 |
| რიმინი | 17 | 6 | 5 | 6 | 21:20 | 23 |
| ბარი | 17 | 5 | 6 | 6 | 18:18 | 21 |
| კროტონე | 17 | 5 | 6 | 6 | 15:15 | 21 |
| ბოლონია | 17 | 4 | 7 | 6 | 18:21 | 19 |
| ვიჩენცა | 17 | 5 | 4 | 8 | 20:26 | 19 |
| ტერნანა | 17 | 3 | 6 | 8 | 12:25 | 15 |
| ალბინოლეფე | 17 | 2 | 8 | 7 | 12:20 | 14 |
| აველინო | 17 | 3 | 4 | 10 | 13:29 | 13 |
| კატანძარო | 17 | 2 | 5 | 10 | 8:19 | 11 |
| კრემონეზე | 17 | 1 | 3 | 13 | 11:28 | 6 |

### სერია C1/A

**XIII ტური**

ფერმანა — ჩიტადელა 0:1; ჯენოა — ლუმეცანე 1:0; ჯულიანოვა — პავია 1:1; პადოვა — მონცა 2:1; პიციგეტონე — სპეცია 1:1; პრო პატრია — ნოვარა 1:1; რავენა — სალერნიტანა 1:1. *პრო სესტო — სამბენედეტეზე გადაიდო, სან მარინო — ტერამო დღეს გაიმართება*

### სერია C1/B

**XIII ტური**

აკირეალე — პიზა 0:0; კიეტი — სანჯოვანეზე 0:1; ჯელა — პერუჯა 1:0; გროსეტო — მასეზე 1:0; ლუკეზე — მარტინა 2:1; მანფრედონია — ლანჩანო 1:3; ნაპოლი — ფოჯა 2:2; პისტოიეზე — ფროზინონე 0:1; ს. ტორესი — იუვე სტაბია 1:1

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIV ტური

**პორტსმუთი 0:2 ჩელსი**

0:1 კრესპო (27), 0:2 ლამპარდი (67პ)
პორტსმუთი: ეშდოუნი, პრისკე, ე. ობრაიენი, სტეფანოვიჩი, გრიფინი, ონილი, დიაო, ს. ჰიუზი (ვიაფარა 78), მ. ტეილორი, დარიო სილვა (ტოდოროვი 63), ლუა ლუა
მწვრთნელი: ჯო ჯორდანი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ჯერემი 83), ესიენი, ლამპარდი, დაფი (შ. რაიტ-ფილიპსი 79), გუდიონსენი, კრესპო (კ. კოული 38)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: დიაო, ჰიუზი, გრიფინი, სტეფანოვიჩი, ტეილორი, კ. კოული
მსაჯი: დოუდი
20 182 მაყურებელი

**უიგანი 1:2 ტოტენჰემი**

0:1 კინი (8), 0:2 დავიდსი (77), 1:2 მაკკალოხი (88)
უიგანი: პოლიტი, ჩიმბონდა, ანშო, დე ზეუვი, ბაინსი, ბალარდი, კავანაფი, ფრენსისი (კონოლი 67), მაკკალოხი, რობერტსი, ა. კამარა
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, სტალტერი, დოუსონი, კინგი, ი. ლი, ჯენასი, კარიკი, დავიდსი, ტაინიო, რობი კინი, მიდო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: დავიდსი, სტალტერი
მსაჯი: რაილი
22 611 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ბლექბერნი**

1:0 ფაბრეგასი (4), 2:0 ანრი (45), 3:0 ვან პერსი (90)
არსენალი: ლემანი, ლორენი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, პირესი (ფლამინი 77), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, რეიესი (ლიუნგბერგი 72), ანრი, ბერხკამპი (ვან პერსი 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ნელსენი, ტოდი, ე. გრეი, ემერტონი (დ. ტომპსონი 61), რიდი, სევიჯი, მ. პედერსენი, კუქი (დიკოვი 79), ბელამი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ფაბრეგასი, რიდი, ნილი
მსაჯი: ფოი
38 192 მაყურებელი

**სიტი 0:1 ლივერპული**

0:1 რიისე (61)
სიტი: ჯეიმსი, მილსი (ბ. რაიტ-ფილიპსი 83), რ. დანი, დისტინი, ჯორდანი (ჟიხაი 75), კროფტი, ბარტონი, აირლენდი, მუსამპა (სინკლერი 68), ენდი კოული, ვასელი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, უორნოკი, ჯერარდი, ჰამანი, სისოკო, რიისე (ლუის გარსია 77), ჯ. სისე (კოუელი 51), კროუჩი (მორიენტესი 81)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: სისე, კროუჩი
მსაჯი: ვაილი
47 105 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:0 ჩარლტონი**

1:0 დევისი (69)
ასტონ ვილა: სორენსენი, ა. ჰიუზი, მელბერგი, რიდგუელი, ბუმა, მილნერი, მაკკანი, სტივენ დევისი, ბერი, ფილიპსი, ბაროში (მური 90)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩარლტონი: ანდერსენი, იანგი, ჰრეიდარსონი, ელ კარკური, პაუელი (პერი 83), ჰოლანდი, კიშიშევი (დ. მერფი 67), სმერტინი, ამბროზი (ლისბი 46), დ. ბენტი, ტომა
მწვრთნელი: ალან კერბიშლი

# პატარა რეკორდების დღე




AFP ლონდონიდან

ვესტ ჰემი — მანჩესტერი.
მანჩესტერელმა ჯონ ოშიმ გამარჯვების გოლი ასე გაიტანა

გაფრთხილება: ბაროში, მილნერი, კიშიშევი, პაუელი
მსაჯი: კლატენბურგი
30 023 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ბირმინგემი**

0:1 ტ. გრეი (68)
სანდერლენდი: ელნვიკი, ნოსვორთი, ბრინი, კოლინზი, ჰოიტი, ჩ. მილერი, უიტიჰედი, ბასილა (ჯ. გრეი 86), უელში (ლოურენსი 46), სტიდი, ლე ტალეკი (მ. ბრაუნი 60)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
ბირმინგემი: ვესენი, კანინგემი, მარტინ ტეილორი, აპსონი, მელხიოტი, დ. ჯონსონი, კილკენი (პენანტი 59), იზეტი, დ. დანი (ტ. გრეი 65), ჰესკი, იაროშიკი (პანდიანი 46)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მსაჯი: რენიე
32 442 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 ნიუკასლი**

1:0 იობო (46)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, ვეირი, იობო, არტეტა (ოსმანი 79), ჩეპილი, საიმონ დევისი, ვან დერ მეიდე (კილბეინი 76), ბიტი (მ. ბენტი 85), მაკფადენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ნიუკასლი: გივენი, ბაბაიარო (ლუკე 51), ბუმსონგი, ბრამბლი, რემაგი, ემრე, ნზოგბია, პარკერი, სოლანო (ბოიერი 60), შირერი, ამეობი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბაბაიარო, ნზოგბია, ბრამბლი, პარკერი, ბიტი, რემაგი
მსაჯი: ვები
36 207 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ბოლტონი**

1:0, 2:0 მაკბრაიდი (4, 18), 2:1 ლევგინსკი (90ს.კ.)
ფულემი: კროსლი, ბოკანეგრა, გომა, როსენიორი, ვოლცი, პ. ბ. დიოპი, მალბრანკი, ბოა მორტე (ლევგინსკი 61), კ. ჯონი (ჰელგუსონი 89), ბ. მაკბრაიდი, რაძინსკი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ჯაიდი (ნგოტი 32), ფეიე (ჯეტუ 59), რ. გარდნერი, ჰ. ნაკატა (ოკოჩა 63), კ. ნოლანი, ჯ. ობრაიენი, სპიდი, კევინ დევისი, დიუფი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: სპიდი, ბენ ჰაიმი, დიუფი, დევისი, როსენიორი, ოკოჩა, ნოლანი, ობრაიენი, ბოკანეგრა
მსაჯი: პოლი
19 768 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:2 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ვიდუკა (12), 1:1 ელინგტონი (18), 1:2 კანუ (57), 2:2 აიეგბენი (66პ)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, პოგატეცი, კედრუ (ნემეტი 46), რიგოტი, საუთგეიტი, ბოატენგი, ჯ. მორისონი (დორივა 79), როჩემბაკი, ვიდუკა (ჰასელბაინკი 79), აიეგბენი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, კლემენტი, კერტის დევისი, პ. რობინსონი, უოლვორკი, ს. უოტსონი (ალბრეხტსენი 46), გრინინგი, ინამოტო, ელინგტონი, დ. კამარა (კარტერი 62), ნ. კანუ
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: კლემენტი, პარნაბი
მსაჯი: უოლტონი
29 332 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:2 მანჩესტერი**

1:0 ჰერვუდი (2), 1:1 რუნი (47), 1:2 ოში (56)
ვესტ ჰემი: კეროლი, ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, მალინსი (ზამორა 72), რეეპკა, ბენაიუნი, ეზერინგტონი (ნიუტონი 89), ნობლი, ჰერვუდი, შერინგემი (დეილი 71)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი (გ. ნევილი 37), ოში, ფლეტჩერი, სქოულზი, ა. სმიტი, პარკი, რუნი, ვან ნისტელროოი (კ. რიჩარდსონი 90)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ნობლი, სილვესტრი, ვან ნისტელროოი, შერინგემი, რუნი
მსაჯი: ბენეტი
34 755 მაყურებელი

**ამ უქმეების** პრემიერლიგა წუთიერი დუმილითა და შავი სამკლავურებით ჩატარდა, კლუბები და ხალხი ჯორჯ ბესტს ეთხოვებოდნენ.

თამაშები, როგორლაც გარკვეული გამოვიდა და ერთი პატარა რეკორდიც შედგა: ფრენკ ლამპარდმა ზედიზედ, 160-ჯერ ითამაშა სასტარტოში და აწ „სიტის" მეკარის, დევიდ ჯეიმსის რეკორდი მოხსნა. „ჩელსიმ" კი პორტსმუთში მოიგო, იქ სადაც კვლავ ეძებენ ახალ მენეჯერს, დროებით კი გუნდს ჯო ჯორდანი უძღვება. პირველი გოლი ადრევე გაიტანა ერნან კრესპომ, თამაშის ბოლოს კი თვით ლამპარდმა შეაგდო პენალტით.

მეორე პატარა რეკორდი ტიერი ანრიმ დაამყარა: ფრანგი პირველი „მეთოფე" შეიქნა, რომელსაც „ჰაიბერის" მინდორზე 700 გოლი გაუტანია. შესაბამისად, ის საერთოდ პირველი ლიგელია, ვინც ასიანი მოამრგვალა ამ მინდორზე. „არსენალმა" „ბლექბერნს" 3:0 მოუგო და შუა გოლი ანრისა იყო. არსენ ვენგერმა კი „ჰაიბერის" „ანრი გარდენი" უწოდა, რითაც მიანიშნა, აქ მთავარმეგოლე ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ ბაღშიო.

ამ თამაშში ერთი პატარა ჩხუბიც მოხდა — რობი სევიჯმა ჩვეული ვირული წარმოდგენა მოაწყო და მერე ყასიდად გაგორდა ბალახზე, ხოსე რეიესმა დამარტყაო. მეორე პატარა კინკლაობა ის იყო, რომ თამაშის მიწურულს გადმოვარდნილი ბურთი ვენგერმა აიღო ხელში, მას კი ბლექბერნელთა თავკაცი მარკ ჰიუზი ეტაკა და ბურთი გამოგლიჯა, დრო იკარგებაო.

ზედიზედ მე-17 ლივერპულულ თამაშში ვერ გაიტანა პიტერ კროუჩმა, თუმცა, მერსისაიდელებმა მაინც მოიგეს მანჩესტერში, „სიტისთან". ნორვეგიელმა იონ არნე რისემ ერთი საათის თავზე დაარტყა საჯარიმოს კუთხიდან. „თამაშის წინ პიტერს ვუთხარი, რომ გოლებზე არ ეფიქრა — თქვა რაფა ბენიტესმა — ერთადერთი, რაც მისგან მინდა, კარგი თამაშია. კროუჩი იმიტომ არ მიყიდია, რომ სეზონში 50 გოლი გაიტანოს ჩვენთვის. იმიტომ ვიყიდე, რომ კარგი ფეხბურთელია". „ლივერპულმა" კი ზედიზედ მეორედ მოიგო.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა „უიგანი", რომელმაც წინა ტურში „არსენალთან" წააგო, ახლა კი „ტოტენჰემთან". თამაში მძიმე იყო: რობი კინმა დასაწყისში დააწინაურა სტუმრები, თამაშის დასრულებამდე ცამეტი წუთით ადრე კი ედგარ დავიდსმა გაიტანა თავისი პირველი ინგლისური გოლი. „უიგანმა", რომელსაც ცხრა წაუგებელი თამაშისგან შემდგარი სერია ჰქონდა, ბოლო ორ მატჩში იმდენი გოლი გაუშვა, რამდენიც ჯერ არ გაუშვია პირველ თერთმეტ შეხვედრაში. ასეა, როცა დიდ გუნდებს ხვდები, თუმცა, ამ ორი მარცხით „უიგანის" ოსტატურ თამაშს არაფერი აკლდება — მხოლოდ ისაა, რომ გუნდი ცხრილში დაბლა იწევს.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლამპარდი (ჩელსი) | 11 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 8 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 8 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 7 |

### XV ტური

3 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | ვესტ ჰემი |
| ბლექბერნი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | არსენალი |
| ჩარლტონი | : | სიტი |
| ჩელსი | : | მიდლსბრო |
| ლივერპული | : | უიგანი |
| მანჩესტერი | : | პორტსმუთი |
| ნიუკასლი | : | ასტონ ვილა |
| ტოტენჰემი | : | სანდერლენდი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | ფულემი |

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჩელსი | 14 | 12 | 1 | 1 | 33:7 | 26 | 37 | 7 | 7 | 0 | 0 | 21:4 | 17 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 16 |
| 2 მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 21:13 | 8 | 27 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 | 8 | 6 | 1 | 1 | 16:9 | 7 | 19 |
| 3 არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:10 | 12 | 26 | 7 | 7 | 0 | 0 | 16:2 | 14 | 21 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 5 |
| 4 უიგანი | 13 | 8 | 1 | 4 | 16:10 | 6 | 25 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 5 | 12 |
| 5 ტოტენჰემი | 14 | 6 | 6 | 2 | 16:10 | 6 | 24 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:4 | 3 | 12 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 |
| 6 ბოლტონი | 13 | 7 | 2 | 4 | 15:13 | 2 | 23 | 6 | 4 | 1 | 1 | 6:1 | 5 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | -3 | 10 |
| 7 ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 13:8 | 5 | 22 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 9 |
| 8 სიტი | 14 | 6 | 3 | 5 | 14:11 | 3 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 4 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 7 |
| 9 ვესტ ჰემი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:12 | 4 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 |
